ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

პარასკევი, 19 თებერვალი, 2016 | №41 (6967) | ფასი: 50 თეთრი

18 თებერვლიდან
გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად
მერაბ ნინიძის
ავტობიოგრაფიული წიგნი
მთავარია, მსახიობი
არ გამოხვიდე
ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი




# თამაზ მეჭიაური: „რესპუბლიკელებმა და მრეწველებმა კოალიცია უნდა დატოვონ“



გვ.2

დგას თუ არა თოფაძის უკან ივანიშვილი





## დავით ბერძენიშვილი: „გოგი თოფაძეს პარლამენტიდან წასვლა გაეწელა“

გვ.4

## ნიკა მელია: „მერიამ პროკურორის შვილს პარიზში ცხოვრება დაუფინანსა“



„ნარმანია მერი აღარ არის. რეალური მერი გიორგი ლილუაშვილია“



გვ.2

„გარდაბნის მაჟორიტარობა მინდა“

## მამუკა არეშიძე: „ოცნების“ სიაში არ ვიქნები“



გვ.3



გვ.4

## სევდია უგრეხელიძე: „რასაც უგულავას აბრალებდნენ, იმავეს აკეთებენ“

ISSN 1987-9385

## პუტინმა ხაჯიმბას ჩეკისტური დავალება მისცა?



გვ.3

„რუსეთი აფხაზეთს თურქეთის წინააღმდეგ გამოიყენებს“



გვ.4

## ფირცხალავასა და ცააძის დნმ-ის ნიმუშები ვაზაგაშვილის მკვლელობის ადგილზე აღმოჩენილ დნმ-ის კვალს არ დაემთხვა

## გიორგი აბაშიძე: „კობა გვენეტაძის მხარდაჭერა ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის მხარდაჭერაა“



გვ.4

ავტოსაგზაო შემთხვევა ახმეტაში



გვ.4

## ნასვამი ზვიადაური მანქანასა და სახლს შეეჯახა

ლურჯი ნითელი ყვითელი შავი

# ნიკა მელია: „მერიამ პროკურორის შვილს პარიზში ცხოვრება დააფინანსა“

## „ნარმანია მერი აღარ არის. რეალური მერი გიორგი ლილუაშვილია“

შორენა მარსაგიშვილი

თბილისის მერია ახალ სკანდალში ეხვევა. რატომ მისცეს პროკურორის შვილს 5.400 ლარი, ვის მოუწევს თანამდებობის დატოვება, ვინ არის რეალურად დედაქალაქის მერი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ნიკა მელია ესაუბრება.

**ნიკა მელია:**

– თბილისის მერიისგან სიურპრიზები აღარავის უკვირს, მაგრამ იმ დოკუმენტმა, რომელიც ახლახან ჩაგვივარდა ხელში, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ეს არის ცინიზმის მწვერვალი და ნარმანიას ხელმოწერით უპრეცედენტოდ დამცინავი ბრძანება გამოიცა.


ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 3852

„8“ სექტემბერი 2015 წ.

მოქალაქე [redacted] საზღვარგარეთ სწავლის მიზნით, საცხოვრებელი ხარჯების ასანაზღაურებლად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 67-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 დეკემბრის №18-57 დადგენილების 28-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის შუამდგომლობა (№10-3/2957 04.09.2015წ.) და მოქალაქე [redacted] საზღვარგარეთ, საფრანგეთში (პარიზი) სწავლის მიზნით, საცხოვრებელი ხარჯების ასანაზღაურებლად, მისი ოჯახის მძიმე სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, ერთჯერადი ფინანსური დახმარების სახით, გამოეყოს 5400 (ხუთიათასოთხასი) ლარი.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, პირველ პუნქტში აღნიშნული თანხის გადატანა „სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამაში (კოდი 6.2.9);

ბ) უზრუნველყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად გატანილი თანხის გადარიცხვა მოქალაქე [redacted]ირად ანგარიშზე.

აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ისანი-სამგორის რაიონის პროკურორ ლეონიდე გერგედავას ოჯახს მძიმე სოციალური მდგომარეობა აქვს, მისი ქალიშვილი სწავლობს პარიზში და გზის ფული 5.400 ლარის ოდენობით ჩაურიცხა. ეს არ გახლავთ სწავლისთვის განკუთვნილი თანხა, რეალურად რომ ვთქვათ, ნარმანიამ პროკურორის ქალიშვილს მაკდონალდსის ფული მისცა.

ნარმანიამაც, მეც და მთელმა საქართველომ ვიცით, რომ ჩვენთან ათასობით ახალგაზრდას სტუდენტის სტატუსი მხოლოდ იმიტომ აქვს შეჩერებული, რომ სწავლის გადასახადი ვერ გადაიხადეს. ამ ახალგაზრდებმა, მათ შორის სოციალურად დაუცველებმაც, არაერთხელ მიმართეს მერიას და გამგეობებს დახმარებისთვის. მათი დაფინანსება ნარმანიამ არ ისურვა, ამ დროს პროკურორის ქალიშვილს პარიზში მაკდონალდსის ფულს აძლევს.

საინტერესოა ისიც, რომ ეს თანხა სარეზერვო ფონდიდან გაიცა, საიდანაც სოციალურად დაუცველები და უსახლკაროები ფინანსდებიან. გავიგეთ ისიც, რომ პროკურორის მეუღლე და, ამავდროულად, პარიზში წასული სტუდენტის დედა არის მერიის თანამშრომელი ასმათ ლოგუა. ის თბილსერვის ჯგუფში მუშაობს.

***– თქვენ თქვით, რომ თანხა სარეზერვო ფონდიდან გამოიყო და იქნებ მართლაც სოციალურად დაუცველია ეს ოჯახი.***

– გამორიცხულია. საუბარია ისანი-სამგორის რაიონის პროკურორზე. მას მაღალი ანაზღაურება აქვს, ისევე, როგორც მის მეუღლეს. ამ სკანდალის გამო ბატონი პროკურორი უნდა გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო დავით ნარმანია უნდა გამოვიდეს და განმარტოს, რამ გაამწარა და რამ გადაარიცხვინა 5.400 ლარი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ფულის ჩარიცხვა რაღაც გარიგების შედეგია. თუ განმარტებებს არ მივიღებთ და პროკურორი არ გადადგება, ეს თემა არ დაიხურება. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ გერგედავამ თანამდებობა დატოვოს.



***– გერგედავას მხრიდან თანამდებობის დატოვება ასეთი აუცილებელია?***

– თუ ნორმალურ სახელმწიფოზე პრეტენზია გვაქვს და ამ ხელისუფლებას რაიმე საღი აზრის ფარგლებში აქვს დარჩენილი, ბატონმა გერგედავამ თანამდებობა უნდა დატოვოს.

***– თქვენ მხოლოდ გერგედავას გადადგომას ითხოვთ. ნარმანია განმარტების გაკეთებით უნდა შემოიფარგლოს?***

– განმარტებები აუცილებელია. თანამდებობიდან მის გადადგომას მხოლოდ იმიტომ არ ვითხოვთ, რომ მას ეს თანამდებობა უკვე დატოვებული აქვს. ამის შესახებ მხოლოდ მაგან არ იცის. ის, უბრალოდ, ზის მერის სამუშაო კაბინეტში, თორემ დედაქალაქში არაფერს ეკითხებიან. თბილისის მერი სულ სხვა ვინმეა.

***– ვინ არის თბილისის მერი?***

– ვინ და ბიძინა ივანიშვილის კადრი, „ქართუ ჯგუფიდან“ გადმოსროლილი გიორგი ლილუაშვილი. ის ამ თანამდებობაზე ერთი თვის წინ დაინიშნა. ის არის რეალური მერი. ამ ვითარებას საპარლამენტო არჩევნების გარდა არაფერი გამოასწორებს.



***– რატომ გგონიათ, რომ ამ სიტუაციას არჩევნები გამოასწორებს?***

– ეჭვიც არ მეპარება, რომ ხალხი ამ ხელისუფლებას გაისტუმრებს. იმდენად ზღვარს გადავიდა „ქართული ოცნება“, რომ მას აღარავინ დაუჭერს მხარს.

ამათ ქმედებებს რომ ვუყურებ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ვიღაცამ ჩვენი შეცდომები შეაგროვა და აკინძა, „ქართული ოცნება“ კი ამ შეცდომების მიხედვით მუშაობს. ხომ შეეძლოთ, ჩვენგან კარგი გადაეღოთ, მაგრამ არა, ესენი ჩვენს შეცდომებს თითქოს სპეციალურად იმეორებენ. სხვანაირად მათი გადაწყვეტილებების ახსნა, უბრალოდ, შეუძლებელია.

ჩვენ ხელისუფლების მხილების პროცესს აუცილებლად გავაგრძელებთ და, დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრ სკანდალურ დოკუმენტს მოვიძიებთ.

* * *

დღის ბოლოს სკანდალს თბილისის მერიაც გამოეხმაურა. გაირკვა ისიც, რომ პროკურორის ქალიშვილი მერიის ყოფილი თანამშრომელი ყოფილა.

„ახალი თაობა“ მერიის განმარტებას უცვლელად გთავაზობთ:

– თბილისის მუნიციპალიტეტის მერის სარეზერვო ფონდი უფლებამოსილია გამოყოს ფულადი სახსრები მოქალაქეების მოთხოვნის საფუძველზე სხვადასხვა სახის მომსახურების დაფინანსების მიზნით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თბილისის მერი, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იღებს გადაწყვეტილებას, თუმცა აღსანიშნავია, რომ განათლების დაფინანსების მიზნით, შინაარსიდან გამომდინარე, განცხადებებს განიხილავს მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, რომელიც, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, შუამდგომლობს მერთან კონკრეტული მოქალაქისთვის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე.

2015 წლიდან დღემდე ქ. თბილისის მერიის სარეზერვო ფონდიდან სწავლა 111 მოქალაქეს დაუფინანსდა. რაც შეეხება სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე სტუდენტებს, 2015 წლის 1 იანვრიდან დღემდე, „სოციალურად დაუცველი სტუდენტების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში, დაკმაყოფილდა 2.553 განცხადება.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში რაიმე სახის სამართლებრივი გადაცდომა არ ფიქსირდება, საკითხთან დაკავშირებით უკვე ინფორმირებულია მერიის შესაბამისი სამსახურები, რის საფუძველზეც დაწყებულია შიდაუწყებრივი მოკვლევა, კერძოდ, ჩნდება კითხვა, თუ რის საფუძველზე მიუთითა მერიის თანამშრომელმა ოჯახის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მოკვლევის დასრულების შემდეგ საზოგადოებას სრულყოფილ ინფორმაციას მივაწვდით. შესაბამისი დასაბუთების არ არსებობის შემთხვევაში თანამდებობას დატოვებს ყველა ის პირი, ვინც, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, გასცა არასწორი ინფორმაცია და რეკომენდაცია.

# თამაზ მეჭიაური: „რესპუბლიკელებმა და მრეწველებმა კოალიცია უნდა დატოვონ“

## დგას თუ არა თოფაძის უკან ივანიშვილი

შორენა მარსაგიშვილი

რესპუბლიკელებსა და გოგი თოფაძეს შორის დაწყებული ომი შესაძლოა კოალიცია „ქართული ოცნების“ დაშლით დასრულდეს.

რესპუბლიკელები თოფაძის ალაგმვას ითხოვენ, მრეწველები კი თინა ხიდაშელის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებენ.

მათ შორის არსებული სიამტკბილობა რამდენიმე დღის წინ გოგი თოფაძის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ კიდევ უფრო გაამწვავა. მრეწველთა ლიდერმა განაცხადა, რომ მას აქვს ვიდეომასალა, სადაც ჩანს, თუ როგორ აყალბებს თინა ხიდაშელი საგარეჯოში შუალედურ არჩევნებს.

ამ განცხადების შემდეგ გოგი თოფაძე, წესით, პროკურატურაში უნდა დაიბარონ. დეპუტატი, თავის მხრივ, მოვალეა, წარმოადგინოს ის მასალები, რომლებზეც ის საუბრობდა და რომლებსაც კოალიციაში დიდი არეულობა მოჰყვა.

როგორც „ახალ თაობას“ ხელისუფლებასთან დაახლოებულმა წყარომ აცნობა, ამ დაპირისპირებით თავად ბიძინა ივანიშვილია დაინტერესებული. არც იმას გამორიცხავენ, რომ ხიდაშელის წინააღმდეგ განცხადებების გაკეთებაზე თოფაძეს სწორედ მისგან ჰქონდეს „დაბრო“ მიცემული.

როგორც ამბობენ, ივანიშვილს ხიდაშელის თავდაცვის მინისტრობა დიდად არ ეპიტნავება. ვინაიდან და რადგანაც აშშ და ნატო ამირსპასალარის მიმართ ზეპოზიტიურად არიან განწყობილი, ნაპრემიერალი მას ღიად არ გააკრიტიკებს, რადგან თინა დასავლეთთან ასოცირდება, ივანიშვილს კი ევროპულობაზე აქვს პრეტენზიები.







არჩევნების გაყალბების თემაზე დასავლეთში მწვავედ რეაგირებენ ხოლმე და, არ არის გამორიცხული, ამიტომაც გაკეთდა ამ თემაზე არჩევანი. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები და, თუ თოფაძემ მართლაც წარმოადგინა მასალები, ხიდაშელს შესაძლოა თავად მოუწიოს თანამდებობის დატოვება. ამას, სავარაუდოდ, რესპუბლიკელების კოალიციიდან წასვლა მოჰყვება.

ივანიშვილსა და კოალიციის არარესპუბლიკელ წევრებს ძალიან აღიზიანებთ ამ პარტიის წევრთა ამბიციურობა და პოლიტიკური მადა. ამათ ნებაზე რომ იყოს, მათ მოიკვეთდნენ კიდეც, მაგრამ ისინი დასავლურ ძალად ითვლებიან და „ქართული ოცნება“ ამას ვერ გარისკავს. მათ პრორუსულობაზე ისედაც ფაქტობრივი მასალით დატვირთული ლეგენდები დადის.

როგორც „ახალი თაობის“ წყარო ირწმუნება, კოალიციაში უნდათ, რომ რესპუბლიკელები ან მშვიდობიანად მოიშორონ, ან გასვარონ და ასე გაუშვან. საამისოდ კი არჩევნების თემით ხიდაშელის გაშავება შესანიშნავი შესაძლებლობაა.

როგორც ამბობენ, სწორედ ამიტომ მიდის ალასანიას პარტიასთან დათმობა-დათბობის პოლიტიკა. უკვე არაერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოალიციაში შესაძლოა რესპუბლიკელები თავისუფალმა დემოკრატებმა ჩაანაცვლონ.

ამ მითქმა-მოთქმას დეპუტატ თამაზ მეჭიაურის განცხადებებიც ამძაფრებს. მან ჯერ კიდევ იანვარში განაცხადა, რომ კოალიციაში შემავალმა პარტიებმა არჩევნებში ცალ-ცალკე უნდა მიიღონ მონაწილეობა, ახალი გაერთიანება კი პარლამენტში შესვლის შემდეგ უნდა შექმნან.

ეს თემა მაშინ ძალიან აქტუალური იყო, მაგრამ ხეების გადარგვით, გაზპრომითა და თოფაძის მჭახე განცხადებებით გადაიფარა.

გუშინ, 18 თებერვალს, მან დაახლოებით იგივე გაიმეორა.

– არ მინდა, ვინმეს ბრალეულობის საკითხი განვიხილო, უბრალოდ, ვამბობ, რომ არცერთი მხარე არ არის მართალი.



არის ერთი გამოსავალი – ყველამ იყაროს კენჭი დამოუკიდებლად. ვისაც ერთმანეთის გარეშე პოლიტიკური ცხოვრება არ შეუძლია, მერე ერთად დაწყვილდნენ და მშვიდობაში მოიხმარონ ის მანდატები, რომელთაც მოსახლეობა მისცემს. ამ პოლიტიკურ ძალებს აერთიანებთ მხოლოდ ერთი რამ, პარლამენტში მოხვედრის გარანტია. აქედან გამომდინარე, მერე თავს იჩენს შეუთავსებლობა, რაც აზიანებს არა მხოლოდ კოალიციას, არამედ ქვეყნის ინტერესებსაც, – განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.

მეჭიაური ბიძინა ივანიშვილის თანაკურსელი და ძველი მეგობარია. აქედან გამომდინარე, მისი განცხადება „ქართული ოცნების“ მამის პოზიციად აღიქმება.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მამუკა არეშიძე: „ოცნების“ სიაში არ ვიქნები“

## „გარდაბნის მაჟორიტარობა მინდა“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში განვითარებულ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი **მამუკა არეშიძე** აფასებს.

***— ბატონო მამუკა, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, კოალიციაში სიტუაცია სულ უფრო იძაბება. ამბობენ, რომ გაღიზიანების დონემ მათში აიწია, ვინც ეჭვობს, რომ სიაში ვეღარ მოხვდება. ასეა?***

— გაღიზიანება, გარკვეულწილად, ყოველთვის არსებობდა კოალიციის სუბიექტებს შორის. განსაკუთრებით ეს გაღიზიანება მიმართული იყო რესპუბლიკელების წინააღმდეგ. თუმცა აქამდე შუბი ხალთაში იმალებოდა. მაქსიმალურად თავს იკავებდნენ, რომ გარეთ არ გამოსულიყო ეს გაღიზიანება, თუმცა ბოლო წლის განმავლობაში მაინც აქა იქ გამოჩნდებოდა ხოლმე „ქართული ოცნების“ ზოგიერთი დეპუტატის განცხადება რესპუბლიკელების კონკრეტული წევრის წინააღმდეგ.

***— თუმცა ბოლო კვირებში ყოველივე ამან იმატა.***

— ახლა უკვე ასეთი მახინჯი ფორმა მიიღო, თუკი წინა დღის პარლამენტის სხდომის მიხედვით ვიმსჯელებთ. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, მით უფრო მატულობს დუღილის ხარისხი ქართულ პოლიტიკურ სპექტრში და მათ შორის „ქართულ ოცნებაში“.

***— რამ განაპირობა ეს?***

— მე არ ვთვლი, რომ ის მიზეზი, რომელიც თქვენ დაასახელეთ ვინმეს ყოფნა-არყოფნასთან დაკავშირებით, მთავარი იყოს.

***— აბა, რა არის მთავარი?***

— ეს არის იმ განწყობის გამოძახილი, რომელიც საზოგადოებაში ზოგადად არსებობს. საზოგადოებაში ბევრს არ მოსწონს კოალიციის ასეთი კონფიგურაცია. ბევრს არ უყვარს რესპუბლიკელები და თვლიან, რომ ისინი არ უნდა იყვნენ კოალიციაში. ეს არის საზოგადოების ამ ნაწილის განწყობის ექო. მე თუ მკითხავთ, უნდა იყვნენ თუ არა კოალიციაში რესპუბლიკელები, გიპასუხებთ, რომ უნდა იყვნენ.

***— რატომ?***

— ერთი მხრივ, რესპუბლიკელები და, მეორე მხრივ, „ქართული ოცნება“ აბალანსებენ საერთო პოლიტიკურ სიტუაციას. რესპუბლიკელები ითვლებიან უაღრესად დასავლური ორიენტაციის მქონე პარტიად. „ქართული ოცნება“ უფრო ზომიერად ამჟღავნებს ამ ტიპის მიდგომებს. გარდა ამისა, თვითონ კოალიციაში არიან სხვა სუბიექტები, რომლებსაც ამ ბალანსში თავიანთი წვლილი შეაქვთ.

***— მაგალითად?***

— ეროვნული ფორუმი ავიღოთ, რომელიც ტრადიციონალისტური ორიენტაციის პარტიაა და მათაც თავიანთი წვლილი შეაქვთ.

***— თუმცა ამბობენ, რომ ვეღარც ფორუმი მოხვდება კოალიციის სიით მომავალ პარლამენტში.***

— ეს ყველაფერი საუბრებია. თუ მე მეკითხებით, უნდა იყვნენ თუ არა, გეტყვით, რომ ეს დასავლეთის პოლიტიკური ცხოვრებისთვის წარმოუდგენელი კონფიგურაციის კოალიციაა, თუმცა საქართველოში, სადაც პოლიტიკური კულტურა ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ბოლომდე, ასეთი ტიპის კოალიციები დღეს საჭიროა.

***— თოფაძესა და ხიდაშელს შორის ვინ არის მართალი?***

— აქ მტყუან-მართალზე ლაპარაკი არ არის. საკუთარ ნათქვამს გავიხსენებ საგარეჯოს არჩევნებთან დაკავშირებით. მე ვთქვი, რომ „ქართულ ოცნებას“ არ სჭირდება ჯარის ხმები, ისედაც მოიგებს და აქედან გამომდინარე საჭიროა ამ მავნე კანონის გაუქმება. კახი კალაძეც გამოვიდა იმავე თემაზე და მანაც ეს აღნიშნა. თვითონ მაქვს ჩემს ზურგზე ნაწვნევი, რას ნიშნავს ჯარისკაცების ხმები.

***— გარდაბანს გულისხმობთ?***

— დიახ, 2012 წელს ზუსტად 4 ათასი ჯარისკაცის გამოყენებით წავაგე მაშინდელი არჩევნები გარდაბნის რაიონში. მაშინ კოალიციის ყველა ლიდერი ამბობდა, რომ ეს კანონი აუცილებლად უნდა შეიცვალოს. მაშინ „ქართულმა ოცნებამ“ ამ ფორმით წააგო არჩევნები ოთხ რაიონში.

როდესაც გავიდა დრო, ყველამ მიივიწყა საკუთარი დანაპირები. მე ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა საგარეჯოს რაიონში. მაშინ ხმას ამაზე არავინ იღებდა, ახლა, როგორც ჩანს, სიტუაციას დასჭირდა და ამიტომ თქვა ის მრეწველების ხელმძღვანელმა.

***— უნდა ეთქვა?***

— მე ვთვლი, რომ არა, რადგან ამას ზიანის მეტი კოალიციისთვის არაფერი მოუტანია. თუ იცოდი, მაშინ თავიდან გეთქვა და, თუ არ იცოდი, მაშინ რატომ ხარ პოლიტიკაში?! თუ საგარეჯოს არჩევნების წინ „ქართულმა ოცნებამ“ თავისი სიტყვა არ შეასრულა, ახლა ამის აფიშირება ნამდვილად აღარ ღირდა.




***— ბიძინა ივანიშვილს ტყიბულის მაჟორიტარი ელისო ჩაფიძეც უპირისპირდება. რა ხდება?***

— ახლა არჩევნები მოდის და ყველას უნდა, თავისი ბედი განსაზღვროს. ელისო ჩაფიძის განცხადებებს მე ვერ დავარქმევდი დაპირისპირებას. ელისო ჩაფიძემ დასვა შეკითხვა, რომელიც მეშახტეების ბედს ეხება. ეს აბსოლუტურად ნორმალური შეკითხვაა, მაგრამ რატომ იყო მიმართული ბიძინა ივანიშვილისადმი, ჩემთვის ცოტა გაუგებარია.

***— აბა, ვის მიმართ უნდა ყოფილიყო?***

— ჯობდა, ეს მიმართული ყოფილიყო პარტიისა და პარლამენტის ხელმძღვანელობისადმი, ან თუ რაღაც იცის დამატებით ელისო ჩაფიძემ, მაშინ უნდა მოეხერხებინა და მოეგვარებინა ეს საკითხი პირადად ბიძინა ივანიშვილთან. რამდენადაც მე მახსოვს, მათ გადასარევი ურთიერთობა ჰქონდათ თავის დროზე.

თუ ეს ეხება კანონმდებლობას ან მთავრობის არასწორ ქმედებას, მაშინ ამაზე ლაპარაკი აუცილებელი იყო, მაგრამ საჭირო იყო სწორი მისამართის შერჩევა.

***— მაქსიმალურად ცდილობენ, რომ სიები არ გახმაურდეს, თუმცა შიდა წრეებში ინფორმაცია მაინც ჟონავს და გაღიზიანების დონეც ამიტომ იმატებს. მაინც როდის გახდის საჯაროს „ოცნება“ საკუთარ სიას?***

— ეს პროცესი ახლა მიმდინარეობს, მაგრამ – ძალიან დაბალი ტემპით, პროცესი იმისა, რომ განისაზღვროს კოალიციის ფორმატიც, სიაში მყოფი ადამიანებისაც, მაჟორიტარებისაც და ასე შემდეგ. სადღაც მარტის ბოლოსთვის რაღაც კონფიგურაცია უკვე უნდა იყოს. სხვანაირად არ შეიძლება. ახლა ვინმე თუ გულს იმშვიდებს, რომ ჩვენ მუშაობა დავიწყეთ 2012 წლის ზაფხულში და მაინც მივიღეთ შედეგი, ეს აბსოლუტურად კონტრპროდუქტიული არგუმენტია.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ მაშინ სულ სხვანაირი სიტუაცია იყო. მაშინ ნაციონალური მოძრაობის შეცდომებიც ეხმარებოდა „ქართულ ოცნებას“ გამარჯვებაში. გარდა ამისა, ოპოზიციური განწყობები ძალიან ძლიერი იყო საქართველოში და „ქართულმა ოცნებამ“ ამ განწყობებზე შექმნა ზედნაშენი. ახლა არ არის ეს სიტუაცია, პირიქით, ანტაგონიზმი არსებობს.

***— რატომ აგვიანებს „ოცნება“ წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებას?***

— ვერ გეტყვით, არ ვიცი. მხოლოდ ერთი სიტყვა შემიძლია ვიხმარო. ეს არის არაორგანიზებულობა. სხვას ვერაფერს ვხედავ.

***— რამდენად შეძლებს „ოცნება“, კვლავ უმრავლესობით მოვიდეს?***

— დღეს ნაციონალური მოძრაობის არსებობისა და იმ ნაბიჯების ფონზე, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ გადადგმული აქვს ამ წლების განმავლობაში, მას აქვს ეს უპირატესობა. თან ეს უპირატესობა გაიზრდება.

***— როგორ?***

— დაიწყება წინასაარჩევნო კამპანია და ამის ფონზე ათასი რამ გამომზეურდება ნაციონალური მოძრაობის ქმედებების თაობაზე.

***— ანუ ისევ კომპრომატების ომს უნდა ველოდოთ?***

— კომპრომატების ომი სულ მიმდინარეობს, არცერთი წუთით არ გაჩერებულა. ეს არის დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრების წესი.

***— არის რამე ახალი, რითიც საზოგადოების გაოცებას შეძლებენ?***

— გამოჩნდება რაღაც ახალი, თუმცა „ქართულ ოცნებას“ სერიოზული ძალისხმევა მართებს თუნდაც ეკონომიკურ გარღვევებთან დაკავშირებით. დღეს ეკონომიკური თვალსაზრისით არ არის ის სიტუაცია, რომელსაც საზოგადოება ელოდა.

***— ამ სიტუაციაში მთავარ ინტრიგად მაინც „ოცნების“ საარჩევნო სია რჩება. ამბობენ, რომ მას ერთპიროვნულად ივანიშვილი შეადგენს. თქვენ რას ფიქრობთ?***

— ჟურნალისტები ხელოვნურად ქმნიან ამ აჟიოტაჟს სიასთან დაკავშირებით. მე, მაგალითად, პირველი ოცეული წარმომიდგენია.

***— და ვინ არიან ისინი?***

— ესენი ის ადამიანები იქნებიან, რომლებიც ისედაც იყვნენ პარლამენტში, ან არიან მთავრობის წევრები და ასე შემდეგ.

***— ანუ კვლავაც ნაცნობი სახეები იქნებიან ოცეულში?***

— რასაკვირველია. შესაძლებელია, ორი-სამი კაცი დაემატოს ისეთი, რომლებიც არ ყოფილან. დანარჩენები იგივენი იქნებიან. ფრაქციის თავმჯდომარეებსა და მათ მოადგილეებს ხომ არ ამოიღებს სიიდან?! ისინი იქნებიან სიაში. ამას ემატება მთავრობიდან სამიოთხი კაცი.

ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა ამ სიას, არამედ იმას, რა ტიპის ნაბიჯები იქნება გადადგმული ხელისუფლების მხრიდან და როგორ მივა თვითონ პარტია არჩევნებამდე. ამ მოკლე დროის განმავლობაში რაც უფრო შედეგიანი იქნება მთავრობა, მით მეტნი იქნებიან ისინი სიაში წარმოდგენილნი.

***— თქვენზეც ამბობენ, რომ „ოცნების“ სიაში იქნებით. ასეა?***

— მე „ოცნების“ სიაში არ ვიქნები. ეს ჩემთვის არავის შემოუთავაზებია, მაგრამ, მე თუ შემომთავაზეს გარდაბნის მაჟორიტარ დეპუტატად ყოფნა, ჩათვალეთ, რომ ჩემი თანხმობა წინასწარ ნათქვამია.

ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დავარწმუნო ყველა, ვისაც გული შესტკივა ამ რაიონზე, რომ მე მაშინ არჩევნები წამაგებინეს და გამიყალბეს. უბრალოდ, მინდა დავამტკიცო, რომ ეს რაიონი მეტის ღირსია.

# პუტინმა ხაჯიმბას ჩეკისტური დავალება მისცა?

## „რუსეთი აფხაზეთს თურქეთის წინააღმდეგ გამოიყენებს“

გულიკო ბალაძე

რატომ შეხვდნენ ერთმანეთს პუტინი და ხაჯიმბა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ყოფილი დეპუტატი ჯემალ გამახარია ესაუბრება.

**ჯემალ გამახარია:**

— პირველ რიგში, ბატონ პუტინს, რუსეთს უნდა მივულოცოთ, რომ მიუხედავად ცივილიზებული სამყაროსაგან თითქმის სრული იზოლაციისა, აგერ ჰყავს ისეთი მოკავშირე, როგორიც არის ბატონი ხაჯიმბა. ბუნებრივია, ეს პირველი დიდი „წარმატებაა“.

შეხვედრის თაობაზე ძალიან ბუნდოვანი ინფორმაცია გავრცელდა. განცხადებაში არანაირი კონკრეტიკა არ არის. საუბარია ეკონომიკისა და უსაფრთხოების საკითხებზე დადებულ ხელშეკრულებებსა და მის შესრულებაზე.

***— ახლა პუტინს ამისთვის სცხელა?***

— ალბათ, სასაუბრო თემა სულ სხვა იყო. შესაძლოა ეს დაკავშირებული იყოს ელექტროენერგიით მომარაგებასთან. ამ საკითხზე დიდი აჟიოტაჟია აფხაზეთში. შესაძლოა მათი შეხვედრა დაკავშირებული იყოს თანხების გამოყოფასთან. მართალია, აფხაზეთში პენსიების გაცემის საკითხი, ასე თუ ისე, გვარდება, მაგრამ რუსეთს თავისი ფინანსური დაპირება არ შეუსრულებია.

ასევე, ვფიქრობ, ეს შეხვედრა რაღაც კუთხით თურქეთთანაც არის დაკავშირებული. ხაჯიმბას არაერთხელ განუცხადებია, რომ მან რუსეთის ერთგული მოკავშირეობა თურქეთისთვის სანქციების დაწესებით დაამტკიცა.

***— პუტინს აფხაზეთის ტერიტორიის გამოყენება ხომ არ უნდა თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში?***

— პუტინს აფხაზეთის ტერიტორიის გამოყენება უნდა თურქეთის წინააღმდეგაც და ევროპის წინააღმდეგაც. ამ ტერიტორიას, სადაც რუსეთის სერიოზული სამხედრო ძალებია განლაგებული, პუტინი გამოიყენებს თურქეთის წინააღმდეგ. აქ არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი – თურქეთში ძალიან ბევრი აფხაზური ეთნოსის წარმომადგენელი ცხოვრობს, ძველი მოჰაჯირების შთამომავლები. თურქულმა მხარემაც შესანიშნავად იცის, რომ მათ შორის არიან ადამიანები, რომლებიც რუსეთზე მუშაობენ, რუსეთის აგენტები არიან, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.





***— პუტინმა ხაჯიმბას ჩეკისტური დავალება ხომ არ მისცა?***

— შეხვედრის ერთ-ერთი საკითხი ესეც შეიძლება ყოფილიყო, ასევე ელექტროენერგიით მომარაგება და ფინანსური დახმარება, რაც შეთანხმებით იყო გათვალისწინებული.

***— აფხაზეთში ელექტროენერგიის მიწოდებაზე გაკეთებულმა განცხადებამ აჟიოტაჟი გამოიწვიაო. ჩვენი მხრიდან ელექტროენერგიის მიწოდებას ეწინააღმდეგებიან თუ შესაძლო გამრიცხველიანებამ შეაშფოთა ისინი?***

— ამ საკითხმა აქტუალობა შეიძინა, გამომდინარე იქიდან, რომ, ჯერ ერთი, ენგურზე წყლის დონემ კატასტროფულად დაიკლო, მეორეც, ენგურჰესზე სარემონტო სამუშაოები უნდა ჩატარდეს. მან გამოიწვია ელექტროენერგიის გამომუშავების მკვეთრი შემცირება. აფხაზეთში გრაფიკი იყო დაწესებული. დაახლოებით 10 დღის წინ, 9 თებერვალს, თვით აფხაზი ჟურნალისტები იყვნენ ჯვარში ჩამოსული და საკუთარი თვალით იხილეს. შემდეგ ქართულმა, რუსულმა და აფხაზურმა მხარეებმა მოილაპარაკეს, როგორ უნდა მოხდეს აფხაზეთის მომარაგება რუსული ელექტროენერგიით, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ჩვენმა მინისტრმა, ბატონმა კახი კალაძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, აფხაზეთი იურიდიულად და სამართლებრივად ჩვენი ტერიტორიაა, იქ ჩვენი მოქალაქეები ცხოვრობენ, ამიტომ აუცილებლად ვიზრუნებთ იქ მცხოვრებ ჩვენს მოქალაქეებზე და აფხაზებისთვის შემოგვაქვს ელექტროენერგიაო, ამან აჟიოტაჟი გამოიწვია.

აფხაზებს ჯერ ეგონათ, რომ რუსეთი აწვდიდა ელექტროენერგიას, არ იცოდნენ, ჩუქნიან თუ გადასახდელი იქნება. თუ გადასახადი იქნება – აფხაზურ ფასებში თუ რუსულ ფასებში. ელექტროენერგია 40 კაპიკია აფხაზეთში, რუსეთში კი 4 – მანეთი.

კახი კალაძის განცხადებამ გამოიწვია აჟიოტაჟი. გამოდის, საქართველო რუსეთისაგან ელექტროენერგიას ყიდულობს, რათა აფხაზეთი უზრუნველყოს.

***— უარყოფითი აჟიოტაჟი გამოიწვია?***

— არა, უარყოფითი აჟიოტაჟი არ გამოუწვევია, არავითარი მაგის მსგავსი. უბრალოდ, აფხაზური ე.წ. ხელისუფლება ამის გამო ჩაყენებულია უხერხულ მდგომარეობაში. ჯერ არანაირი განცხადება არ გაუკეთებიათ. შესაძლოა, რეალური სურათი რომ არ გამოჩნდეს, ხაჯიმბა ჩაიყვანეს, რუსებმა და აფხაზებმა ელექტროენერგიით მომარაგებასთან დაკავშირებით ერთობლივი განცხადება რომ გააკეთონ.

***— შეიძლება პუტინმა გააფრთხილა ხაჯიმბა, რომ ახლა მას სჭირდება დათმობა (თუ შეიძლება, ამას დათმობა ვუწოდოთ) საქართველოსთან?***

— საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის გავლის გარეშე აფხაზეთისთვის ელექტროენერგიის მიწოდება შეუძლებელია. ყველა შემთხვევაში ჩვენი მხრიდან უნდა იყოს მიწოდებული ელექტროენერგია.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# სევდია უგრეხელიძე: „რასაც უგულავას აბრალებდნენ, იმავეს აკეთებენ“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ საკრებულოს დეპუტატი სევდია უგრეხელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში დედაქალაქის მერიაში მიმდინარე საკადრო ცვლილებებზე საუბრობს.

**სევდია უგრეხელიძე:**

– წელიწად-ნახევრის განმავლობაში თბილისის მერიაში 20-ზე მეტი თანამდებობის პირი გამოიცვალა. ეს არ არის ჩვეულებრივი და ნორმალური მოვლენა. ეს ფაქტია და ამიტომ არიან ადამიანები უკმაყოფილო.

***– თუ ვერ ამართლებენ ეს კადრები?***

– გასაგებია, რომ ვერ ამართლებენ, მაგრამ ხომ აქვს საზღვარი ყველაფერს. კადრების ასეთი გადაადგილება და გაშვება ცუდად აისახება მათ მუშაობაზე. რამდენი სამსახურის ხელმძღვანელი შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში, ამას აღარ ჩამოვთვლი, რადგან საზოგადოებისთვის ყველაფერი ცნობილია.

***– ორი დღის წინ ალექსანდრე მარგიშვილის სამსახური დაიხურა. ბევრისთვის ეს მოულოდნელი იყო, მაგრამ დავით ნარმანიამ თქვა, ოპტიმიზაცია ხდება და თანხების დაზოგვაო. შეიძლება ასეც იყოს?***



– ეს სამსახური თავის დროზე მარგიშვილისთვის შეიქმნა. ეს იყო თბილი ადგილი მისთვის, რასაც დაარქვეს „მეწარმეობის ხელშეწყობის სამსახური“. 25 თანამშრომელი ჰყავდა, თავად კი იგივე ხელფასი ჰქონდა, რაც ვიცემერის პოსტზე. 5 ათას ლარს სცილდებოდა ყოველთვიური შემოსავალი ხელფასისა და დანამატის სახით.

ამ სამსახურს არაფერი გაუკეთებია, გარდა იმისა, რომ მილიონ-ნახევრამდე ბიუჯეტი დახარჯა. ამ სამსახურის ხელშეწყობით რომელიმე წარმოება თუ აყვავდა თბილისში, მითხრან და ხმას არ ამოვიღებ, მაგრამ კარგად იცის ყველამ, რომ ასეთი, უბრალოდ, არ არსებობს. სამი პროექტი გააკეთეს და მათ პრეზენტაციაში დამატებით გადაიყარა ფული. ეს იყო და ეს. პიროვნულადაც ძალიან ოდიოზური ფიგურა იყო, დებოშს გვიტეხდა საკრებულოში, ნაციონალებს გვემუქრებოდა. რატომ გააუქმეს, გვიპასუხონ.

***– თანხებს ვზოგავთო.***

– ჩვენ ხომ ამას იმთავითვე ვამბობდით, რომ ეს იყო ზედმეტი ფულის ხარჯვა და სხვა სამსახურის დუბლირებასაც კი იწვევდა. ახლა მიხვდნენ ამას, ბატონმა ლექვინაძემ თქვა, დუბლირებააო.

***– რატომ გადაწყვიტეს, რომ ახლა გაუქმდეს მსგავსი სამსახურები?***

– იმიტომ, რომ ამ თანხებს საარჩევნოდ წარმართავენ. თავად ნარმანიამ თქვა, ოპტიმიზაციისთვის ვაკეთებთო. ეს სასაცილოა.

***– რატომ, ხომ შეიძლება, გულწრფელი სურვილი იყოს?***

– თუ ოპტიმიზაცია უნდა, ორი პიარი რომ ჰყავს, რა პიარს უკეთებენ ამისთანას. მოადგილეები შეამციროს, სამსახურები გააერთიანოს, რომლებიც ხელოვნურად დაყო. ახლა მერიის ქვედა რგოლში აპირებენ ადამიანების შემცირებას, მაგალითად, ელექტრიკოსების, მეეზოვეების. ამცირებენ იმ ადამიანებს, რომელთა ხელფასიც 400 და 500 ლარია. თუ ეს ადამიანები ქუჩაში დარჩებიან, შიმშილით დაიხოცებიან, მაგრამ ამას ნარმანიას დიდად არავინ ეკითხება მას შემდეგ, რაც ბატონი ლილუაშვილი მივიდა მერის მოადგილის პოსტზე. ლილუაშვილი ჩრდილოვანი მერია.

***– ცოტა ხნის წინ ისევ გავრცელდა ინფორმაცია ნარმანიას გადადგომაზე, ასევე ამბობენ, რომ მერის მოვალეობის შემსრულებელი ლილუაშვილი იქნება. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?***

– კანონით, მერის მოვალეობას ვიცემერი შეასრულებს. ვიცემერი კი ლაშა აბაშიძე გახლავთ და არა – ლილუაშვილი. ლილუაშვილი რიგითი მოადგილეა ნარმანიასი. ამ ხელისუფლებას ახასიათებს არაფორმალური მმართველობა და ეს ცუდია. ბატონი ლილუაშვილი რომ მოვიდა, პირველი, რაც გააკეთა, ადმინისტრაციის უფროსი შეცვალა, ჩემს კურაციაშია და ვინც მინდა, ის უნდა იყოსო, მაგრამ საჯარო სამსახურში ასე არ შეიძლება.

ეს არის სწორედ არაეფექტური მმართველობა. საკადრო ცვლილებების პროცესი კვლავ გრძელდება. მორიგი ცვლილება ვის შეეხება, არ ვიცით, იმდენად არაპროგნოზირებადია მთლიანად პროცესი. დუბლირებული სამსახურების გაუქმებას მივესალმებით, მაგრამ ოპტიმიზაციის პროცესი ადამიანების ქუჩაში დარჩენას გამოიწვევს.

## გიორგი აბაშიშვილი: „კობა გვენეტაძის მხარდაჭერა ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის მხარდაჭერაა“



გუშინ, 18 თებერვალს, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა პრეზიდენტის მიერ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატ კობა გვენეტაძეს მხარი დაუჭირა.

კენჭისყრაში მონაწილეობა კომიტეტის 7-მა წევრმა მიიღო, საიდანაც კანდიდატთან დაკავშირებით დადებითი პოზიცია 6-მა დეპუტატმა დააფიქსირა.

გუშინვე კობა გვენეტაძემ კომიტეტს ეროვნული ბანკის საქმიანობის ძირითად მიმართულებებთან დაკავშირებით საკუთარი ხედვები გააცნო.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის გარდა, კობა გვენეტაძეს დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის მხარდაჭერაც აქვს.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი აბაშიშვილმა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს კობა გვენეტაძის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

როგორც გიორგი აბაშიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, კომიტეტის წევრებმა სწორი გადაწყვეტილება მიიღეს.

– ამისთვის კომიტეტს მადლობა მინდა გადავუხადო. მათ მხარი დაუჭირეს ბატონი კობა გვენეტაძის კანდიდატურას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეს არის მხარდაჭერა პროფესიონალიზმისადმი, ეს არის მხარდაჭერა ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის გაძლიერებისადმი. ამ შემთხვევაში სულ ორი კომიტეტია განმხილველი და ორივემ მხარი დაუჭირა ბატონი კობას კანდიდატურას.

ველოდებით საკითხის პლენარულ სხდომაზე კენჭისყრას და ცხადია, როდესაც ორი კომიტეტის მხარდაჭერაა, ეს არის ოპტიმიზმის ძალიან მაღალი საფუძველი, – განაცხადა აბაშიშვილმა.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

## საკონსტიტუციო სასამართლომ რუსთავი 2-ის სარჩელის არსებითი განხილვა დაიწყო

საკონსტიტუციო სასამართლომ სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის სარჩელის არსებითი განხილვა დაიწყო.

დავის საგანი საპროცესო კოდექსის ორი საკითხია. ერთი შეეხება დაუყოვნებლივი აღსრულების ნორმას, მეორე – დროებითი მმართველის დანიშვნას სამაუწყებლო კომპანიაში.

სასამართლო მხარეთა პოზიციებს მოისმენს.

ადვოკატ დიმიტრი საძაგლიშვილის განცხადებით, ორივე ნორმა არაკონსტიტუციურია, რადგან არ არის განსაზღვრული, რა შემთხვევებში უნდა იყოს გამოყენებული და მოსამართლეს თავისუფლად მოქმედების საშუალება ეძლევა.

– ერთ-ერთ კონსტიტუციურ პრინციპს წარმოადგენს, რომ უფლების მზღუდავი ნორმა უნდა იყოს განმჭვრეტადი და განსაზღვრადი. მხარეს უნდა შეეძლოს, წინასწარ გაიგოს, თუ რა უნდა მისგან კანონმდებელს. ამ შემთხვევაში სადავო ნორმები ამ კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებს და ამიტომ მიგვაჩნია, რომ არაკონსტიტუციურია.

რუსთავი 2-ის მიმართ მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, აშკარად გამოჩნდა, რომ ეს არის სამართლებრივი დავა. ასე რომ, ხვალ და ზეგ რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული ურთმელიძის თუ სხვა მოსამართლის მიერ, არავინ იცის. ამიტომ, ნორმის კონსტიტუციურობა-არაკონსტიტუციურობა არ გულისხმობს იმას, რომ კონკრეტულ ეტაპზე არსებობს საფრთხე. საკონსტიტუციო სასამართლო, თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, არაკონსტიტუციურად ცნობს იმ ნორმას, რომელიც სხვისი კონსტიტუციური უფლებების დარღვევის საფრთხეს შეიცავს, – განაცხადა დიმიტრი საძაგლიშვილმა.



მოპასუხე მხარე კი აცხადებს, რომ ნორმები არაკონსტიტუციური არ არის და მოსამართლეს გადაწყვეტილების თავისუფლად მიღების საშუალება უნდა ჰქონდეს.

ნიუსპრესი

## ფირცხალავასა და ცააძის დნმ-ის ნიმუშები ვაზაგაშვილის მკვლელობის ადგილზე აღმოჩენილ დნმ-ის კვალს არ დაემთხვა




ირაკლი ფირცხალავასა და გიორგი ცააძის დნმ-ის ნიმუშები იური ვაზაგაშვილის მკვლელობის ადგილას ფალიაზე აღმოჩენილ დნმ-ის კვალს არ დაემთხვა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მთავარ პროკურატურაში განუცხადეს.

საგამოძიებო უწყების ინფორმაციით, გამოძიებამ გენეტიკური ანალიზის შედეგები 17 თებერვალს მიიღო.

ე.წ. კორტების საქმეზე მსჯავრდებულ ფირცხალავასა და ცააძეს ე.წ. მატროსოვის ციხეში დნმ-ის ნიმუშები სასამართლოს განჩინების საფუძველზე მიმდინარე წლის 29 იანვარს აუღეს.

როგორც 29 იანვარს ე.წ. მატროსოვის ციხის დატოვების შემდეგ მთავარი პროკურატურის გამომძიებელმა გიორგი ლომთაძემ განაცხადა, გამოძიება მუშაობს იური ვაზაგაშვილის განზრახ მკვლელობის საქმეზე დამკვეთებისა და დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენის მიზნით და დნმ-ის ნიმუშების აღება სწორედ აღნიშნულ გამოძიებას უკავშირდებოდა.

მან განმარტა, რომ ფირცხალავასა და ცააძის დნმ-ის ნიმუშები უნდა შედარებოდა ვაზაგაშვილის აფეთქების ადგილზე ამოღებულ ფალიაზე აღმოჩენილ დნმ-ის მესამე კვალს, რომლის იდენტიფიცირება ჯერჯერობით არ მომხდარა. ასევე გამომძიებელმა 29 იანვარს ჟურნალისტების შეკითხვის საპასუხოდ განმარტა, რომ მესამე კვალი იური ვაზაგაშვილს არ ეკუთვნის.

მედია დაინტერესდა, არსებობს თუ არა შესაძლებლობა, ცააძეს ან ფირცხალავას იური ვაზაგაშვილის მკვლელობის დანაშაულთან კავშირი ჰქონდეთ, რაზეც გიორგი ლომთაძემ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე გამოძიება დნმ-ის ნიმუშების შედარებით შემოიფარგლება.

იური ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეზე გია სოსანაშვილს უკვე მიესაჯა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას ბრალად დაედო 2015 წლის 20 იანვარს კასპის რაიონის სოფელ ყარაფილაში შვილის საფლავზე იური ვაზაგაშვილის განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობა.

ინტერპრესნიუსი

## დავით ბერძენიშვილი: „გოგი თოფაძეს პარლამენტიდან წასვლა გაეწელა“

„რესპუბლიკელი“ დავით ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ მმართველი გუნდის წევრმა გოგი თოფაძემ დეპუტატის მანდატის დატოვების თაობაზე დანაპირები უნდა შეასრულოს.

როგორც ბერძენიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, თოფაძე თავისი განცხადებებით კოალიციასა და თვითონ უმრავლესობას დისკომფორტს უქმნის.

– კონკრეტულად თოფაძეზეა ლაპარაკი. ის დისკომფორტს უქმნის მისსავე პარტიასა და კოალიციას. თოფაძეს გამოცხადებული აქვს, მივდივარ პარლამენტიდანო და რაღაც გაეწელა ამ სიტყვის შესრულება. შეასრულოს ეს და მის ფრაქციასა და პარტიას მოუხსნის პრობლემებს, – განაცხადა დავით ბერძენიშვილმა.

როგორც ცნობილია, მმართველი გუნდის აღნიშნულ ორ წევრს – დავით ბერძენიშვილსა და გოგი თოფაძეს შორის გუშინ პარლამენტის სხდომაზე სიტყვიერი დაპირისპირებაც მოხდა, რომელიც თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის მისამართით თოფაძის მიერ რამდენიმე დღის წინ გაკეთებულ კრიტიკულ განცხადებას უკავშირდებოდა.

ინტერპრესნიუსი

## ნასვამი ზვიადაური მანქანასა და სახლს შეეჯახა

### ავტოსაგზაო შემთხვევა ახმეტაში

2 ადამიანი დაშავდა ახმეტაში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად. თვითმხილველთა თქმით, მომხდარის მიზეზი პარლამენტის წევრის, ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატის ზურაბ ზვიადაურის ავტომანქანა გახდა, რომელსაც, როგორც ისინი ამბობენ,



ზვიადაური ნასვამ მდგომარეობაში მართავდა. გავრცელებული ინფორმაციით, მომხდარზე პოლიციას გამოძიება არ დაუწყია.

ახმეტაში მომხდარი შემთხვევის შესახებ ინფორმაციას კახეთის საინფორმაციო ცენტრი ავრცელებს.

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

## ობიექტი №1

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მეტრს.

გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხუნჯულაურის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ცხენისწყალზე „ილორის“ ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - P+C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა – 430 800 მ3).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხუნჯულაურის ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

57 764 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

5 776,4 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

29 082 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 19 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 21 მარტს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 21 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 21 მარტს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

5 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №2

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

წალკის მუნიციპალიტეტი, სოფ. კუშჩის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ქციაზე „კუშჩის“ ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 99 900 მ3 (სამივე უბანზე ერთად).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

წალკის მუნიციპალიტეტი, სოფ. კუშჩის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

13 395 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

1 339,5 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

6 898 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 19 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 21 მარტს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 21 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 21 მარტს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

5 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №3

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.

– ვიცოდით, რომ რთული მატჩი გვექნებოდა, მაგრამ ვიბრძოლეთ და ჩვენი თამაშით კმაყოფილი ვართ. რომამ დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია, რაც გასაკვირი არ არის, რადგან ეს ჩემპიონთა ლიგაა. კრიშტიანუ რონალდუმ კი შესანიშნავი შეხვედრა ჩაატარა, ისევე, როგორც გუნდის სხვა წევრებმა. გოლის გატანა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. გასვლითი თამაშები ყოველთვის რთულია. მიუხედავად მოგებული მატჩისა, დაპირისპირების ბედი ჯერ არ გადაწყვეტილა, მაგრამ სახლში კარგი შედეგით ვბრუნდებით.

**ლუჩანო სპალეტი:**

– ჩვენ ვიბრძოლეთ, რაც გულშემატკივრებმაც დაინახეს და მოედნიდან ტაშით გაგვაცილეს. რეალი მაღალი დონის გუნდია და მინიმალურ სივრცესაც ძალიან კარგად იყენებს. კიდევ ერთი პრობლემა ის იყო, რომ დაცვას ძალიან დიდი ყურადღება დავუთმეთ და კონტრშეტევების განვითარება გვიჭირდა. ვფიქრობ, რომ მეორე ტაიმში უკეთ გამოვიყურებოდით, თუმცა მეტოქეს მაინც ბევრის გაკეთების უფლება მივეცით, ხოლო გატანილი გოლის შემდეგ რეალმა თავი უფრო კომფორტულად იგრძნო.

### გენტი – ვოლფსბურგი 2:3

0:1, 0:2 დრექსლერი (44, 54), 0:3 კრუზე (60), 1:3 კუმსი (80), 2:3 კულიბალი (89)

**გენტი:** სელსი, ნილსენი, მიტროვიჩი, ასარი, ფოკეტი, მილიჩევიჩი (ჰასან საიეფი 61), ნეტო, კუმსი, დიაგირი, დეპოიტრე (კულიბალი 80), საიმონი (მატონი 60)

**ვოლფსბურგი:** კასტელსი, იუნგი (შურლე 45), დანტე, კნოხი, როდრიგესი, ლუის გუსტავო, ტრაში, ვიეირინია (შაფერი 80), არნოლდი, დრაქსლერი, კრუზე (პუტარო 90)

ვოლფსბურგმა დიდი ნაბიჯი გადადგა მეოთხედფინალისკენ. „მგლებმა" სამჯერ დაამწუხრეს „ხარები" და ბელგიელებმაც მხოლოდ მატჩის მიწურულს შეძლეს 2 ბურთის გაქვითვა და მატჩს თითქოს ინტრიგა დაუტოვეს.

არადა, პირველ ტაიმში ვერავინ იტყოდა, რომ გოლების ასეთი რაოდენობა გავიდოდა. მატჩი მშვიდად მიმდინარეობდა და მხოლოდ ტაიმის ბოლოს ვიხილეთ გოლი.



მეორე ტაიმის დასაწყისში ბელგიელებმა მოუმატეს, მაგრამ 54-ე წუთზე უხეშად შეცდნენ და მე-2 გოლიც მიიღეს. ორჯერვე გოლი იულიან დრექსლერმა გაიტანა.

ის ჯერ მოედნის ცენტრში ტექნიკურად გასცდა მცველს და ბურთი ვიერინიასთან გათამაშების შემდეგ გადაგზავნა კარში, ხოლო მეორედ მცველს შეცდომა არ აპატია, კარგად გასცდა და მეკარესთან პირისპირ გასულმა ბურთი თავზე გადაუგდო.

კიდევ 5 წუთში მაქს კრუზემ დაასრულა ვოლფსბურგის შეტევა და გამარჯვებულის ვინაობა თითქოს ნაადრევად გადაწყვიტა.

ასე არ ფიქრობდა გენტი და მატჩის ბოლოს კუმსისა და კულიბალის გოლებით სხვაობა შეამცირა, მაგრამ მეტისთვის არც ძალა ეყო და არც დრო.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – იულიან დრექსლერი

მართლაც მატჩის გმირი. მან არა მარტო 2 გოლი გაიტანა, არამედ ორივე თავად შექმნა. ორივე შემთხვევაში მოხდენილი ფინტებით ჩამოიშორა მცველები და ცივსისხლიანად დაასრულა შეტევები.

# საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი დღეს განახლდება

**დღეს დაიწყება საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრე ფეხბურთში. ეს ჩემპიონატი უფრო იმიტომ იქნება საინტერესო, რომ დიდი შანსია, გავლენა მოახდინოს მომავალ გათამაშებებზე, რადგან ეროვნული პირველობის ფორმატი შეიცვლება და გუნდებს საჭირო ადგილების დასაკავებლად დიდი ბრძოლა დასჭირდებათ.**

### შუქურა-სამტრედია

ქობულეთი. ჩელე არენა

სამტრედიელებს ევროტურნირები აქვთ დაგეგმილი და ქულების გაფლანგვა მათ მიზნებში არ შედის. თუმცა, ქობულეთში თამაში იოლი ნამდვილად არ არის. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო პირველ წრეში, მაგრამ შემდეგ გუნდი რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა, მათ შორის გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ჩელებაძემ. ვნახოთ, რა გუნდი დაახვედრა შუქურა მეტოქეს.

### კოლხეთი-დილა

ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე

ფოთელებმა პირველი წრის ბოლოს საგრძნობლად მოუმატეს და გასავარდნ ზონას დაუსხლტნენ, მაგრამ მოდუნების უფლება არ აქვთ, რადგან ყველა ქულა შესაძლოა ძვირფასი აღმოჩნდეს.

თავის მხრივ, დილას ჩემპიონობა უნდა. მართალია, გორელები დინამოს 5 ქულით ჩამორჩებიან, მაგრამ იმედი აქვთ, რომ შარშანდელ მიღწევას გაიმეორებენ და ლანჩხუთშიც ფავორიტის რანგში ჩადიან. ერთიც არის – დილა ბოლო დროს უფულობაზე წუწუნებს.

### სიონი-გურია

ბოლნისი. თამაზ სტეფანია

ორივე გუნდმა კარგი შევსება მიიღო ზამთრის პაუზისას. ბოლნისელებმა აქცენტი ქართველებზე გააკეთეს, ლანჩხუთელებმა – უცხოელებზე, თუმცა, რა დონის ფეხბურთელები არიან და რამდენად გააძლიერებენ გურიას, ამას მატჩები დაგვანახებს.

მიზნები ორივეს სხვადასხვა აქვთ: სიონს ევროტურნირები უნდა, გურიას უმაღლესში დარჩენა.

### ზუგდიდი-დინამო (ბთ)

ზუგდიდი. ბაიას საწვრთნელი ბაზა

ზუგდიდმა უცხოელი მწვრთნელი მიიყვანა და გუნდიც გააძლიერა. მათი მიზანი უმაღლესში დარჩენაა და ყველა ქულას ფასი აქვს, მით უმეტეს, საშინაო თამაშებში ქულების განიავება მათ კარგს არაფერს მისცემს.

უცხოელი ფეხბურთელები დაიმატეს ბათუმელებმაც. ზღვისპირელებმა ჩემპიონატი ცუდად დაიწყეს, შემდეგ კი მოუმატეს და საევროპე ზონას მიუახლოვდნენ, მაგრამ მისი საგზურის მოსაპოვებლად დიდი ბრძოლების გადატანა მოუწევთ.

### მერანი-ტორპედო

მარტვილი. მურთაზ ხურცილავა

მარტვილელები უიმედო აუტსაიდერებად ითვლებიან და მის გამოსწორებას მეორე წრეში ეცდებიან.



გუნდმა კარგი შეკრებაც გაიარა და რამდენიმე ფეხბურთელიც დაიმატა. მეტოქეც არცთუ ძლიერი ჰყავს – ტორპედოს სეზონის წინ დიდი მიზნები ჰქონდა, მაგრამ საშუალო გუნდად გამოჩნდა. მართალია, მეორე წრისთვის რამდენიმე ფეხბურთელი დაიმატა, მაგრამ სერიოზული პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს.

### საბურთალო-ცხინვალი

თბილისი. მიხეილ მესხი

საბურთალოელები შინაურ მატჩებს საკუთარ ბენდელას სტადიონზე ატარებდნენ, თუმცა ფეხბურთელების განვითარების მიზნით კლუბის ხელმძღვანელებმა მიიღეს გადაწყვეტილება და საბურთალო მეორე წრის საშინაო მატჩებს მესხზე, სათადარიგო სტადიონზე გამართავს.

ახალგაზრდა და სიმპათიურმა გუნდმა პირველ წრეში კარგი თამაში აჩვენა და ევროსაგზურებისთვის მებრძოლ ცხინვალს ამავე სტადიონზე მოუგო კიდეც. ვნახოთ, რა იქნება ამჯერად.

### საპოვნელა-დინამო (თბ)

ზესტაფონი. დავით აბაშიძე

ზესტაფონში ფეხბურთი ბრუნდება, მაგრამ ამჯერად მასპინძლები თერჯოლელები იქნებიან. საპოვნელამ რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი დაიმატა და პირველი გამოცდა ჩემპიონატის უპირობო ფავორიტ დინამოსთან ელის.

### ლოკომოტივი-ჩიხურა

თბილისი. მიხეილ მესხი

ეს მატჩი მთავარ სტადიონზე გაიმართება. ფავორიტის გამოყოფა ძნელია. ლოკომოტივი რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერდა და, არ არის გამორიცხული, 3 ქულაც მიითვალოს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 15 | 13 | 1 | 1 | 43-13 | 40 |
| 2.დილა | 15 | 11 | 2 | 2 | 30-12 | 35 |
| 3.ცხინვალი | 15 | 10 | 2 | 3 | 33-18 | 32 |
| 4.სიონი | 15 | 9 | 2 | 4 | 31-19 | 29 |
| 5.სამტრედია | 15 | 9 | 1 | 5 | 32-19 | 28 |
| 6.ჩიხურა | 15 | 8 | 2 | 5 | 22-12 | 26 |
| 7.დინამო (ბთ) | 15 | 7 | 5 | 3 | 27-15 | 26 |
| 8.შუქურა | 15 | 6 | 3 | 6 | 17-16 | 21 |
| 9.საბურთალო | 15 | 6 | 2 | 7 | 23-27 | 20 |
| 10.ტორპედო | 15 | 5 | 5 | 5 | 25-26 | 20 |
| 11.კოლხეთი | 15 | 5 | 3 | 7 | 13-19 | 18 |
| 12.ლოკომოტივი | 15 | 4 | 2 | 9 | 17-22 | 14 |
| 13.გურია | 15 | 2 | 4 | 9 | 12-29 | 10 |
| 14.საპოვნელა | 15 | 2 | 2 | 11 | 10-36 | 8 |
| 15.ზუგდიდი | 15 | 1 | 5 | 9 | 12-34 | 8 |
| 16.მერანი | 15 | 1 | 1 | 13 | 10-40 | 4 |

**საქართველოს საფეხბურთო პირველობის მეორე წრის კალენდარი იხ. მე-10 გვერდზე.**

# ძიუდოისტები დიუსელდორფში განახლებული შემადგენლობით მიდიან



საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრების წევრები 19-21 თებერვალს გერმანიაში დიუსელდორფის გრან პრიზე გამოვლენ, სადაც მონაწილეობას მსოფლიოს 89 ქვეყნის 572 ძიუდოისტი მიიღებს.

საქართველოს ნაკრები პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირზე 11 კაცით გამოვა, ნაკრების თავკაც ირაკლი უზნაძის გადაწყვეტილებით, გუნდი გერმანიაში გადახალისებული შემადგენლობით იჭიდავებს. ნაკრების ლიდერები ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ) და ვარლამ ლიპარტელიანი (90 კგ) ამჯერად დაისვენებენ. დიუსელდორფის გრან პრის გამარჯვებული 300 ქულას მიიღებს, მეორეადგილოსანი – 180-ს, ხოლო ბრინჯაოსმედალოსანი – 120-ს.

დიუსელდორფის გრან პრის შემდეგ მომდევნო გრან პრი თბილისში 25-27 მარტს გაიმართება. ტურნირი სპორტის ახალ სასახლეში ჩატარდება.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა დიუსელდორფის გრან პრიზე:

ამირან პაპინაშვილი, ლუხუმ ჩხვიმიანი (60კგ), ვაჟა მარგველაშვილი, ბექა შავდათუაშვილი (66), ნუგზარ ტატალაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი (73), გიორგი პაპუნაშვილი (81), ბექა ღვინიაშვილი, ლაშა ტაველური (100), ადამ ოქრუაშვილი, ლევან მატიაშვილი (მძიმე).

## შედეგები

**17 თებერვალი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

რომა-რეალი ........................................ 0:2

გენტი-ვოლფსბურგი ............................ 2:3

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ხიხონი-ბარსელონა .............................. 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 24 | 19 | 3 | 2 | 65-19 | 60 |
| 2.ატლეტიკო | 24 | 17 | 3 | 4 | 35-11 | 54 |
| 3.რეალი | 24 | 16 | 5 | 3 | 70-23 | 53 |
| 4.ვილიარეალი | 24 | 14 | 6 | 4 | 30-18 | 48 |
| 5.სევილია | 24 | 11 | 7 | 6 | 34-24 | 40 |
| 6.ეიბარი | 24 | 10 | 6 | 8 | 38-31 | 36 |
| 7.ბილბაო | 24 | 10 | 5 | 9 | 35-34 | 35 |
| 8.სელტა | 24 | 10 | 5 | 9 | 35-42 | 35 |
| 9.დეპორტივო | 24 | 6 | 14 | 4 | 33-30 | 32 |
| 10.სოსიედადი | 24 | 8 | 6 | 10 | 34-34 | 30 |
| 11.მალაგა | 24 | 8 | 6 | 10 | 21-21 | 30 |
| 12.ვალენსია | 24 | 6 | 10 | 8 | 28-25 | 28 |
| 13.ხეტაფე | 24 | 7 | 5 | 12 | 26-36 | 26 |
| 14.ბეტისი | 24 | 6 | 8 | 10 | 18-33 | 26 |
| 15.რაიო | 24 | 6 | 6 | 12 | 32-49 | 24 |
| 16.ხიხონი | 24 | 6 | 5 | 13 | 27-41 | 23 |
| 17.ესპანიოლი | 24 | 6 | 4 | 14 | 21-48 | 22 |
| 18.ლას პალმასი | 24 | 5 | 6 | 13 | 23-38 | 21 |
| 19.გრანადა | 24 | 5 | 5 | 14 | 25-49 | 20 |
| 20.ლევანტე | 24 | 4 | 5 | 15 | 21-45 | 17 |

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლევადიაკოსი-ატრომიტოსი 1:1

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## გამოვიდა ახალი წიგნი
## GEORGIAN MYTH-TALES




დანიელ არა ქართველი ჟურნალისტის ვალერი ჭკადუას ფსევდონიმია. ვ.ჭკადუამ დაამთავრა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირის მთავარ მთარგმნელობით კოლეგიაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საინფორმაციო განყოფილების გამგედ, საგამომცემლო სახლ „პალიტრის“ ინგლისურენოვანი ყოველკვირეულის Georgia Jornal-ის მთავარ რედაქტორად.

1990 წლიდან დანიელ არა აქტიურად თარმნის და აქვეყნებს შერვუდ ანდერსონის, უილიამ ფოლკნერის, ჯეიმს თერბერისა და სხვა ამერიკელი მწერლების ნაწარმოებებს.

წინამდებარე ინგლისურენოვანი მოთხრობების კრებულის „ქართული მითიური ამბების“ წინასიტყვაობაში დანიელ არა წერს: „ყოველ ერს გააჩნია მითები, რომლებიც აყალიბებენ ამ ხალხის როგორც კოლექტიურ, ასევე ინდივიდუალურ მიდგომას იმ მოვლენისადმი, რომელსაც ზოგი ოპტიმისტი „ცხოვრებას“ უწოდებს. ამ წიგნში მე შევეცადე გადმომეცა იმ მითიური აზროვნების თავისებურება, ქართველებს რომ ახასიათებს“.

**წიგნის შეძენა შეიძლება „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში.**



## ოთი საუკუნის ქალბატონი ძაბული ხელაია



**თებერვალი, იებისა და ვარდობის თვე. 19 თებერვალი, ბედნიერი დღე თარაზ ხელაიას ოჯახისთვის, როცა ოჯახს ნანატრი ქალიშვილი შეეძინა. პატარა ძაბული დიდი პატრიარქის ამბროსი ხელაიას ძმის, ბატონი კოწიას შვილიშვილია. იმ დროისათვის კოწია ილორის ეკლესიის მღვდელი იყო და ამ ბედნიერ წუთებს ილორის ზარები ამცნობდა ილორელებს, რომ ხელაიების ოჯახში თეთრი მტრედი შემოფრინდა, ბედნიერი და დიდხანს იცხოვრებდა, — ეს ბატონი ამბროსის სიტყვებია, როცა ძმას მიულოცა წერილობით.**

**ბედნიერი იყო ქალბატონი ძაბულის ბავშვობა და ახალგაზრდობა ოჩამჩირეში. ბევრი ახალგაზრდა თაობა აღუზარდა მომავალს, მაგრამ ოჩამჩირეში ნანატრ სიბერეს ვეღარ ეღირსა. ბედნიერია იმით, რომ მისი აღზრდილები ერთი წუთითაც არ ტოვებენ ყურადღების გარეშე; ბედნიერია, რომ ის მათი დედიკოა, ისინი კი მისი შვილები არიან. მოგონებებით სულ ოჩამჩირეშია. დღეს, ამ ასაკში, ლოცულობს საქართველოზე, მის მომავალზე და 100 წლის იუბილეს აღნიშვნას ოჩამჩირეში ოცნებობს.**

**„ილორი-მოქვი-ბედია**
**სამშობლოს სატაძრეთია,**
**გავჩნდით ამქვეყნად მიტომ, რომ**
**წუთისოფელი გვეთია“.**

**უფალმა დალოცოს ჩვენი წუთისოფელი. დაბადების დღეს გილოცავენ შენი ხელაიები, შარანგიები, ალანიები, შამუგიები, მერჩულეები, კახიანები, ინჩხურელები და ოჩამჩირელები.**

**გილოცავ 90 წლის იუბილეს, გიხუტებ გულში.**

*იზო ხელაია-გოროზია*

## საქართველოს საფეხბურთო პირველობის მეორე წრის კალენდარი

**23 თებერვალი**
გურია-შუქურა
დინამო (თბ)-ლოკომოტივი
ტორპედო-ზუგდიდი
დინამო (ბთ)-დილა
სამტრედია-საპოვნელა
სიონი-კოლხეთი
ცხინვალი-მერანი
ჩიხურა-საბურთალო

**27 თებერვალი**
საბურთალო-დინამო (თბ)
ლოკომოტივი-სამტრედია
ზუგდიდი-ცხინვალი
შუქურა-სიონი
კოლხეთი-დინამო (ბთ)
მერანი-ჩიხურა
დილა-ტორპედო
საპოვნელა-გურია

**6 მარტი**
დინამო (თბ)-მერანი
გურია-ლოკომოტივი
ტორპედო-დინამო (ბთ)
სიონი-საპოვნელა
ცხინვალი-დილა
შუქურა-კოლხეთი
ჩიხურა-ზუგდიდი

**7 მარტი**
სამტრედია-საბურთალო

**11 მარტი**
ლოკომოტივი-სიონი

**12 მარტი**
დილა-ჩიხურა
ზუგდიდი-დინამო (თბ)

**13 მარტი**
მერანი-სამტრედია
დინამო (ბთ)-ცხინვალი
საბურთალო-გურია
საპოვნელა-შუქურა
კოლხეთი-ტორპედო

**17 მარტი**
დინამო (თბ)-დილა

**18 მარტი**
სამტრედია-ზუგდიდი
სიონი-საბურთალო
ცხინვალი-ტორპედო
ჩიხურა-დინამო (ბთ)
შუქურა-ლოკომოტივი

**19 მარტი**
საპოვნელა-კოლხეთი
გურია-მერანი

**1 აპრილი**
ლოკომოტივი-საპოვნელა

**2 აპრილი**
დილა-სამტრედია
საბურთალო-შუქურა
დინამო (ბთ)-დინამო (თბ)
მერანი-სიონი
ზუგდიდი-გურია
ტორპედო-ჩიხურა
კოლხეთი-ცხინვალი

**6 აპრილი**
სიონი-ზუგდიდი
ჩიხურა-ცხინვალი
შუქურა-მერანი
სამტრედია-დინამო (ბთ)
ლოკომოტივი-კოლხეთი
საპოვნელა-საბურთალო
გურია-დილა
დინამო (თბ)-ტორპედო

**10 აპრილი**
ცხინვალი-დინამო (თბ)
კოლხეთი-ჩიხურა
საბურთალო-ლოკომოტივი
დინამო (ბთ)-გურია
დილა-სიონი;
მერანი-საპოვნელა
ტორპედო-სამტრედია
ზუგდიდი-შუქურა

**15 აპრილი**
ლოკომოტივი-მერანი

**16 აპრილი**
სიონი-დინამო (ბთ)
ჩიხურა-დინამო (თბ)

**17 აპრილი**
შუქურა-დილა
სამტრედია-ცხინვალი
საბურთალო-კოლხეთი
საპოვნელა-ზუგდიდი
გურია-ტორპედო

**23 აპრილი**
დილა-საპოვნელა
დინამო (ბთ)-შუქურა
ზუგდიდი-ლოკომოტივი
მერანი-საბურთალო
ცხინვალი-გურია

**24 აპრილი**
კოლხეთი-დინამო (თბ)
ჩიხურა-სამტრედია
ტორპედო-სიონი

**30 აპრილი**
ლოკომოტივი-დილა
მერანი-კოლხეთი
სამტრედია-დინამო (თბ)
გურია-ჩიხურა
საპოვნელა-დინამო (ბთ)
შუქურა-ტორპედო
სიონი-ცხინვალი
ზუგდიდი-საბურთალო

**8 მაისი**
ცხინვალი-შუქურა
კოლხეთი-სამტრედია
ზუგდიდი-მერანი
დილა-საბურთალო
დინამო (ბთ)-ლოკომოტივი
ტორპედო-საპოვნელა

**9 მაისი**
დინამო (თბ)-გურია
ჩიხურა-სიონი

**14 მაისი**
შუქურა-ჩიხურა
ზუგდიდი-კოლხეთი
სიონი-დინამო (თბ)
საბურთალო-დინამო (ბთ)
გურია-სამტრედია
საპოვნელა-ცხინვალი
მერანი-დილა
ლოკომოტივი-ტორპედო

**22 მაისი**
ტორპედო-საბურთალო
დილა-ზუგდიდი
დინამო (ბთ)-მერანი
სამტრედია-სიონი
დინამო (თბ)-შუქურა
კოლხეთი-გურია
ცხინვალი-ლოკომოტივი
ჩიხურა-საპოვნელა

**მოამზადა
მიხეილ ყორყოლიანმა**

## ბრიტანეთში გზა მოპარული დინოზავრის მაკეტით გადაკეტეს

დიდ ბრიტანეთში, კუნძულ უაიტზე, უცნობმა პირებმა დინოზავრ ტრიცერატოპსის მაკეტი თემატური იურული პერიოდის პარკში მდებარე სუვენირების მაღაზიიდან გამოიტანეს და შუა ქუჩაში მიატოვეს.

ფიგურის მფლობელი მარტინ სიმპსონი მას იყენებდა, როგორც მაღაზიის მორთულობას, სადაც ის ისტორიამდელი ძვირფასი ქვებით ვაჭრობს. მამაკაცმა განაცხადა, რომ მოინახა დინოზავრის მიწაზე დამაგრების საშუალება, რათა მისი მოპარვა ვეღარ მოხერხდეს.

– იმისთვის, რომ მაკეტი რამდენიმე მეტრზე გადააადგილონ, მინიმუმ, ხუთი მამაკაცია საჭირო. გამორიცხული არ არის, რომ ქურდები მთვრალები იყვნენ, – განაცხადა სიმპსონმა.

ადგილობრივი საგზაო სამსახურის თანამშრომლებმა, რომლებიც კუნძულის მაგისტრალების პატრულირებას ახორციელებენ, ტრიცერატოპსის მაკეტი თავის ადგილზე დააბრუნეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი
### 19 თებერვლისათვის



**ვერძი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. გაგიმახვილდებათ ინტუიცია. საჭირო დროს საუკეთესო გადაწყვეტილებას მიიღებთ. ნუ იქნებით იმპულსური. **კურო** – პროფესიონალურ სფეროში სიძნელეები გექმნებათ. თქვენს საქმეს სხვას ნუ გააკეთებინებთ. კრიზისული სიტუაციიდან გამოსავალი არასტანდარტული გზით ეძიეთ. **ტყუპები** – კრიტიკული დღეა. ნებისყოფა მოიკრიბეთ, იყავით უკომპრომისო. რადიკალურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **კირჩხიბი** – ენერგეტიკული პოტენციალის შესუსტებას გრძნობთ. თუ მეტისმეტად მგრძნობიარე ხართ, მაშინ შესაძლოა დეპრესიამ შემოგიტიოთ. **ლომი** – დღის პირველ ნახევარში ყოველგვარი საქმიანი შეხვედრა, მათ შორის რომანტიკულიც, სხვა დროისათვის გადადეთ. პრინციპულ საკითხებზე გარშემომყოფებთან მწვავე კამათია მოსალოდნელი. **ქალწული** – თუ წინდახედულობასა და შორსმჭვრეტელობას გამოიჩენთ, წარმატებას მიაღწევთ. გიმახვილდებათ ინტუიცია. საკუთარი პოზიცია დაიცავით. **სასწორი** – ახალი საქმის დაწყება წარმატებული იქნება, თუ მოქმედების ტაქტიკას გონივრულად შეარჩევთ. ეს განსაკუთრებით შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებს ეხებათ. **ღრიანკალი** – კრიტიკული და მოულოდნელობებით აღსავსე დღეა. პრობლემები არასტანდარტული გზით უნდა გადაჭრათ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერი საქმე თქვენგან საკმაოდ დიდ ენერგიას მოითხოვს. საკუთარი პოზიციის განმტკიცებას მხოლოდ გონების სისხარტითა და სწრაფი რეაქციით შეძლებთ. **თხის რქა** – ენერგეტიკულად მძლავრი დღეა. თამამად გარისკეთ. იღბალი ყველგან თან გდევთ. გელით სასიყვარულო თავგადასავალი ან ძალზე სასიხარულო შეხვედრა. **მერწყული** – საყიდლებზე წასვლა დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ. ნავაჭრი იღბლიანი იქნება. დღის პირველ ნახევარში ოდნავ დაბნეული ხართ, რაც შესაძლოა მცირედი გაუგებრობის მიზეზი გახდეს. **თევზები** – არაკეთილისმყოფელი დღეა. ასაკოვანმა ადამიანებმა ცხოვრებისეული პრობლემები გულთან ახლოს არ მიიტანოთ. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას შესუსტებული აურა გამოიწვევს. მოსალოდნელია ინფექციური დაავადებების გამწვავება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. გემის სრული ტვირთმზიდაობა; 2. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 3. ფარისეველი, ფლიდი ადამიანი; 4. მატყუარა, ყალთაბანდი ადამიანი; 5. რომელიმე ენის სიტყვების მარაგი; 10. მადნის, ქვიშის გადასაზიდი სარკინიგზო თვითმცლელი, ნახევარვაგონი; 11. მყარი ნივთიერების აირისებრ მდგომარეობაში გადასვლა; 12. სხვა ქვეყნის მოქალაქეობის არჩევის უფლების მქონე პირი; 15. ბიოლოგიის ნაწილი, რომელიც ფრინველთა პერიოდული გადაფრენის მოვლენებს სწავლობს; 16. საჭმელი სოკო; 17. კურორტ ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 20. მე-16 საუკუნის ქართველი ოქრომჭედელი.

**თარაზულად**: 6. ტრაგედია „ფაუსტის“ პერსონაჟი; 7. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 8. მქრქალი, გამჭვირვალე ფაიფური; 9. ქართული მინერალური წყალი; 13. მკაცრი აკრძალვა; 14. ყინულითა და პიტნით შეზავებული ვისკი ან რომი; 18. კანონებში არსებული წინააღმდეგობა; 19. არწივის ძველი ქართული სახელწოდება; 21. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 22. ზღვაში წვეტად შეჭრილი ხმელეთის ვიწრო ნაწილი; 23. შავი ფერის ალმასი; 24. გრძელბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. იმპორტი; 2. სურდინა; 3. ბიურგერი; 4. ლევილი; 5. ჰარპუნი; 8. პარსეკი; 9. ბირთვისი; 12. გვახარია; 13. კალმახი; 16. ჭყონდიდი; 17. კორპუსი; 19. იბერია; 20. მოხერი.

**თარაზულად:** 6. ამაშუკელი; 7. ჰეტმანი; 8. პურადი; 10. გრაფიკა; 11. ზული; 14. „ფლამენკო“; 15. ჰამბურგი; 18. მყვარი; 21. ბახმარო; 22. ტორტი; 23. ალგეთი; 24. შიომღვიმე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კომუნიკე; 2. თრთვილი; 3. აბაშა; 4. დარბაზი; 5. „იოკასტე“; 10. ფოლკლორი; 11. სემირამიდა; 12. ისტვუდი; 15. ტრიპლექსი; 16. გრივნა; 17. ფორტუნა; 20. კიურე.

**თარაზულად:** 6. ტოლერანტობა; 7. ვანდომი; 8. გრაფიკა; 9. ტიროლი; 13. წეკო; 14. „ჰენესი“; 18. კვირინალე; 19. გორდი; 21. „სიმდი“; 22. პამირი; 23. ბატისკაფი; 24. შპინდელი.

# რატი ამაღლობელს ისევ ემუქრებიან „სადმე არ გადამეყარო!“



პოეტ რატი ამაღლობელს ხანმოკლე პაუზის შემდეგ ისევ ემუქრებიან. ამჯერად მას ანთიმოზ ბიჩინაშვილი ემუქრება და საჯაროდ აცხადებს, რომ აუცილებლად მოსთხოვს პასუხს, თუ სადმე გადაეყრება.

ანთიმოზ ბიჩინაშვილის გაბრაზება რატის ლექსმა ახლაღა გამოიწვია. „პატრიარქი გაიყინა“ – ასე იწყება ლექსი და ის თბილისის ერთ-ერთ მიწისქვეშა გადასასვლელში გაყინულ ადამიანს ეძღვნება:

– პატრიარქი მამაა, შვილი არ უნდა აძლევდეს უფლებას, მამა შეგიგინონ და, ჩემნაირად მოაზროვნენი რაც უფრო ბევრი იქნება, მით უკეთესი. მე თუ სადმე გადამეყარა, აუცილებლად პასუხს მოვთხოვ. სპეციალურად არ დავუპადიეზდებ.

რა ლექსი? რა პოემა? როდესაც ტექნიკურად პატრიარქს შეურაცხყოფს და ლექსს არის ამოფარებული ეს ნაძირალა. სახლში მოვედი და ტელევიზორი ჩავრთე. პირდაპირ პირველი არხი ჩაირთო და უცებ რატი. რატი ამაღლობელი! სადმე არ გადამეყარო, შენს თავს ხელიდან ვერავინ წამართმევს! ესე თუ შეგტკივა გული იმ გაყინულზე, წაგეყვანა სახლში და მოგევლო! ეხლაც ბევრნი არიან ქუჩებში მოსავლელი, შენ კი პირველ არხზე ზიხარ და ნარცისიზმით ხარ დაკავებული!

# მაია დარსმელიძე კოლეგებს აკრიტიკებს



მუსიკოსი და მომღერალი მაია დარსმელიძე კოლეგებს აკრიტიკებს და რეალობასთან დასაახლოებლად სარკეში ხშირად ჩახედვას ურჩევს.

**მაია დარსმელიძე:**

– რა ჰქვია დაავადებას, როდესაც მსმენელისგან მეფეებად/დედოფლებად მონათლული ვიღაც ქავერებს არგამცდარი რესტორნის მომღერლები ამ დედოფლობას/მეფეობას თან იჯერებენ და თან იფერებენ და მერე სიცილით განიხილავენ, როდესაც, მათგან განსხვავებით, მართლა მუსიკოსს იგივეს ეუბნება მასზე შეყვარებული მსმენელი?

ვინმემ თუ რაიმე შეფასებაში გადააჭარბა და გეცინებათ, სარკეში ჩაიხედეთ და გაიხსენეთ, როგორ იფერებთ და ებლაუჭებით ყველა კომპლიმენტს და აღარ გაგეცინებათ... ნუ, ყოველ შემთხვევაში ასე ხმამაღლა აღარ გაგეცინებათ!

# თამარაშვილის ქუჩაზე ხე მანქანებს დაეცა

გუშინ, 18 თებერვალს, თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე, ქარის შედეგად ხე წაიქცა, რის შედეგადაც დაზიანდა ავტომობილები და გარეგანათების ბოძი.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ადგილზე სამაშველო სამსახურისა და გამგეობის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

**ნიუსპრესი**



# სამგლოვიარო განცხადებები

რამინ და დოდო გოგიები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**პალიკო (პავლე) ესებუას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მელორ ალფენიძე და ლეილა გოგია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**პალიკო (პავლე) ესებუას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, ღვაწლმოსილი მამულიშვილი, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების დამსახურებული მუშაკი, პოლიციის პოლკოვნიკი, მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე პატრიოტი, საქართველოს ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი

**პალიკო ესებუა**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მიხეილ ქავთარიას ოჯახი დიდი მწუხარებით იუწყება მეგობრის, ქალბატონი

**მერი თევზაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახის წევრებს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ლადო მესხიშვილის იუბილე დიდუბის პანთეონში აღინიშნა



ცნობილი ქართველი მსახიობისა და რეჟისორის ლადო მესხიშვილის 159-ე დაბადების დღე დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მის საფლავთან აღინიშნა. საქართველოს ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის წევრებმა პროფესორ გოგი დოლიძის ხელმძღვანელობით უკვე 31-ედ აღნიშნეს ლეგენდარული ხელოვანის დაბადების დღე.

ტრადიციულ ღონისძიებას კინომცოდნე გოგი დოლიძემ დაუდო სათავე ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქართული ფილმის მაშინდელი დირექტორის რეზო ჩხეიძის დავალებით რუსეთის არქივიდან ჩამოიტანა ის ორადორი ფილმი „ორლოვების ოჯახის საიდუმლო“ და „შურისძიების ღმერთი“, სადაც ლადო მესხიშვილია გადაღებული. ფილმები 30 წლის წინ გოგი დოლიძემ აღადგინა და გაახმოვანა კიდეც.

მსახიობისა და რეჟისორის 159-ე დაბადების დღე დიდუბის პანთეონში საგანგებოდ მოწვეულ სტუმრებთან ერთად აღინიშნა. დუშეთის რაიონის სოფელ ფასანაურიდან თბილისში ჩამოვიდნენ მეათე კლასის მოსწავლეები, პედაგოგები და ჩოხოსნებთან ერთად გაიხსენეს ლეგენდარული ლადო მესხიშვილი. გოგი დოლიძემ, რეზო თავართქილაძემ, გუბაზ მეგრელიძემ, ივანე ჯაფარიძემ, ილო პატაშურმა ისაუბრეს ლადო მესხიშვილის შესახებ და სტუმრებს მისი ცხოვრებისა და შემოქმედების საინტერესო ეპიზოდები გააცნეს.

ლადო მესხიშვილის იუბილესთან დაკავშირებით ჩოხოსნები სპეციალური ბუკლეტის გამოცემასაც გეგმავენ, სადაც დაინტერესებული საზოგადოება ხელოვანის შესახებ საინტერესო ინფორმაციებს გაეცნობა.

# ევროვიზიაზე წარსადგენ სიმღერას აკრიტიკებენ



ევროვიზია 2016-ზე წარსადგენი სიმღერა კრიტიკის ობიექტი გახდა. ნიკა კოჩაროვისა და იანგ ჯორჯიან ლოლიტაზისთვის შერჩეული სიმღერა მსმენელთა უმრავლესობისთვის მიუღებელია.

ევროვიზიის რიგით 61-ე კონკურსზე საქართველო სიმღერით „მიდნაით გოლდ“ წარდგება. შიდაშესარჩევ კონკურსში მონაწილე სიმღერებიდან ჟიურიმ საუკეთესო ხუთეული დაასახელა და მათგან უკვე გამარჯვებული კომპოზიცია ჟიურისა და მაყურებლის ხმის მიცემით 50%-50%-ზე ერთობლივად შეირჩა. საერთაშორისო ჟიური ოთხი პროფესიონალის – სცენოგრაფ მარვინ დიტმანისგან, პროდიუსერ კრისტერ ბიორკმანისგან, რეჟისორ საშა ჟან-ბაპტისტისგან და ჟურნალისტ ენდი მიხეევისგან შედგებოდა.

ჟიურიმ გამარჯვებულ კომპოზიციას ქულების მიხედვით მეორე ადგილი მიაკუთვნა, მაყურებლის ხმის მიცემის შედეგებით კი პირველი ადგილი დაიკავა. პირველი ადგილი დაიკავა ამავე სიმღერამ ინტერნეტში გამოკითხვისა და ნახვების მონაცემებითაც.

შიდაშესარჩევი კონკურსის გამარჯვებულ კომპოზიციას ისინი ბერლინის პრესტიჟულ ხმის ჩამწერ სტუდიაში ჩაწერენ. ვიდეორგოლს საკონკურსო სიმღერაზე 5 რეჟისორი გადაიღებს. ქართველი რეჟისორები დავით უჯმაჯურიძე, თემო კვირკველია, ნაჯა ორაშვილი, თემო ეზუგბაია და გაგა რაზმაძე კლიპს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, განსხვავებული ხელწერით გადაიღებენ, ხოლო საზოგადოებრივი მაუწყებლის რეჟისორი ნესტან სინჯიკაშვილი ხუთ ნაწილს ერთ ვიდეორგოლად გააერთიანებს. ბერლინი, თბილისი, ყაზბეგი და ქართული ტრადიციული ელემენტები... კლიპის საბოლოო ვერსიაში მაყურებელი მრავალფეროვან კადრებს იხილავს.

სიმღერის ეთერში გამოჩენას უკვე მოჰყვა კრიტიკა. მსმენელთა უმეტესობა დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ არათუ გამარჯვების, ფინალში მოხვედრის შანსიც კი არ გვაქვს.

– ამ ნომერს ევროვიზიაზე რა უნდა, ღადაობთ? ამის გამგზავნს ევროვიზია ერთხელ მაინც არ გინახავთ?! სრული არაფორმატია და გარანტირებული ბოლო ადგილი. ყველაზე ცუდი ენთრია ევერ. მაქსიმუმ, შინს ჯობდეს. შანსი ნულია! – აცხადებს ნიკა გვარამია.

ნიკა კოჩაროვი და იანგ ჯორჯიან ლოლიტაზ ევროფესტივალის მეორე ნახევარფინალში 12 მაისს იმღერებენ. ორგანიზატორებმა კენჭისყრა ჩაატარეს და კონკურსში მონაწილე ქვეყნების რიგითობა განსაზღვრეს. 61-ე ევროფესტივალის მონაწილე ქვეყნები ნახევარფინალებში კენჭისყრის შედეგად სტოკჰოლმში გადანაწილდნენ.

საქართველოს წლევანდელი კონკურსანტები ევროფესტივალზე საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ყოველგვარი შიდაშესარჩევი კონკურსის გარეშე წარადგინა.

პირველი ნახევარფინალი 10 მაისს გაიმართება და მასში მონაწილეობას მიიღებენ სომხეთი, ფინეთი, საბერძნეთი, ხორვატია, მოლდოვა, ნიდერლანდები, რუსეთი, სან მარინო, უნგრეთი, აზერბაიჯანი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, კვიპროსი, ესტონეთი, ისლანდია, მალტა, მონტენეგრო, ჩეხეთის რესპუბლიკა და ავსტრია.

მეორე ნახევარფინალი 12 მაისს ჩატარდება და მასში მონაწილეობას მიიღებენ ავსტრალია, ირლანდია, ისრაელი, ლატვია, ლიტვა, მაკედონია, პოლონეთი, შვეიცარია, სერბეთი, ბელარუსი, ალბანეთი, ბელგია, ბულგარეთი, დანია, საქართველო, ნორვეგია, რუმინეთი, სლოვენია და უკრაინა.

წელის ევროვიზიის სიმღერის კონკურსი სტოკჰოლმში ჩატარდება და გრანდიოზულ სანახაობას გლოუბ არენა უმასპინძლებს. კონკურსის ნახევარფინალები 10 და 12 მაისს, ხოლო ფინალი 14 მაისს გაიმართება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

სპორტი

# ზუროსი თითქმის საქართველოს ნაკრების მწვრთნელია



სავარაუდოდ, დღეს საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებს ახალი მწვრთნელი ეყოლება. ბერძენი სპეციალისტი ილიას ზუროსი უკვე ძალიან ხშირად იმყოფება საქართველოში და საბოლოო შეთანხმებამდე უნდა მივიდნენ. საქართველოს კალათბურთის ფედერაცია დღეს პრესკონფერენციას მართავს და, ალბათ, ყველაფერი გადაწყდება.

ზუროსი საკალათბურთო სამყაროში ცნობილი კაცია. ის 2011 წელს საბერძნეთის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.

მისი ხელმძღვანელობით მოგვიგეს ბერძნებმა 2011 წელს ლიტვაში გამართულ ევრობასკეტზე 73:60. საბოლოოდ, ბერძნები ევრობასკეტზე მე-6 ადგილს დასჯერდნენ, რაც მწვრთნელს არ აპატიეს.

ევრობასკეტზე მე-6 ადგილი არა, მაგრამ ჩვენი ნაკრების მთავარი მიზანი ჯერ იქ მოხვედრაა. შეგახსენებთ, რომ წილისყრის შემდეგ ქართველი კალათბურთელები ჯგუფში მონტენეგროსთან, სლოვაკეთთან და ალბანეთთან მოხვდნენ.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# პროგრამა

**პარასკევი 19 თებერვალი**

**06.30** მუსიკა **07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.00** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 23.00** ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" **12.30** "ადამიანი კამერით" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "წიგნების თარო" **14.30** ან/ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.00** "პროექტი ზღვარზე ტელებლოგში" **21.30** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**მძინარენი**" (ბ.პიტი)

**08.00, 10.10, 22.30, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** "არგუმენტების დრო" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **21.00** **ძიუდო**: საერთაშორისო ტურნირი – გრან პრი **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.30, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.10** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 10.05** იმედის დილა **10.05** სერ. "**ოცი წუთი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **10** სერ. **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** პოლიტიკა **23.30** მხ/ფ "**ბაზა**" (ჯ.ტრავოლტა) **01.20** მხ/ფ "**სიყვარულისა და დანების ისტორია**" (კ. მორი) **03.05** მხ/ფ "**პირდაპირი მუქარა**" (უ.დეფო) **05.20** მხ/ფ "**უკანასკნელი ლეგიონი**" (ბ.კინგსლი)

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**აღთქმა**" **20.50** ლოტო **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30, 01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

GDS

**8.30, 18.30** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. **9.00** Discovery. ისტორიის საიდუმლოებათა ამოხსნა ოლი სტიდსთან ერთად **10.00** ან/სერ. "**ავატარი ლეგენდა აანგის შესახებ**" **11.00** მზარეულები **11.30** შუადღე **14.00, 20.00** ცოლები და ქმრები **14.30,** სერ. "**ახალი გოგო**" **15.00, 19.00** სერ. "**ცენტრი**" **15.30** Discovery. ფულის საიდუმლო **16.30** აირჩიე კაბა **17.30** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **20.30** **20.30** LIVE **22.00** მხ/ფ "**წაიყვანე ბერძნულში**" **23.55** ID Extra - სასჯელს თითქმის გავექეცი **0.55, 2.45** URBAN STORIES **1.45,** ჯიდიპედია

**06.10** მუს.პაუზა **06.15** კვირიაკე **07.20** დ/ფ "სამთავროს დედათა მონასტერი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექციები მეფუტკრეობაზე **11.25** მოკ. მხ/ფ **12.10** პორტრეტები **13.15** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "მაგნოლია" **15.10** ქართ ან/ფ **15.30** კონცერტი **16.40** ტელეზღაპრები "თხა და ციკნები" **17.00** მიწათმოქმედი "მევენახეობა და მეღვინეობა" **17.20** დ/ფ "ქართული გალობა რომში" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩვენი ფონდი **20.00** თაობა ზეტი "ქუჩის ცხოვრება" **20.40** ძილი ნებისა "ილია II" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები "თამარ ციციშვილი" **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "ხმა უდაბნოში-დავით გარეჯი" I ფ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** თბილისის ტაძრები "ზემო ბეთლემი" **00.35** დ/ფ **01.00** შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო **07.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 02.00**"კონტაქტი" **07.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **07.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05** სერ. "**სხვისი სხეული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **14.05, 15.30, 16.05, 17.05, 01.30** სერ. "**კარმელიტა**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ბერძენი ქალი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**მხსნელი სიყვარული**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "მხსნელი სიყვარული" **23.30** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**19 თებერვლისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.4921 | ევრო — 2.7735 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5699 | 100 რუსული რუბლი — 3.2357 |

## ამინდის პროგნოზი 19 თებერვლისთვის






კალეიდოსკოპი

## ტრამპის ქალიშვილმა მოდის ჩვენებაში მიიღო მონაწილეობა



დონალდ ტრამპის ქალიშვილი, 22 წლის ტიფანი, პირველად გამოჩნდა პოდიუმზე. მან მონაწილეობა მიიღო ნიუ იორკში მოდის კვირეულის ფარგლებში ამერიკული მარკის ჯუსტ დრაივის ჩვენებაში.

ტიფანი ტრამპი და მარკის დიზაინერი ენდრიუ ვორენი ბავშვობის მეგობრები არიან. გოგონა პოდიუმზე ერთხელ გამოვიდა, რათა ამით თავისი მხარდაჭერა გამოეხატა მეგობრის მიმართ. მას ლურჯი კაბა-სმოკინგი ეცვა.

აპირებს თუ არა ამერიკელი მილიარდერისა და რესპუბლიკური პარტიისგან ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატის ქალიშვილი, თავისი მომავალი მოდის ბიზნესს დაუკავშიროს, უცნობია.

## აშშ-ში ქვეყნის მთავარი ძაღლი აირჩიეს

აშშ-ის მთავარი დოგ-შოუს გამარჯვებული გახდა გერმანული მოკლებეწვიანი პოინტერი, სახელად სიჯეი.

სამი წლის სიჯეი ნიუ იორკში გამართულ კონკურსზე თავის პატრონთან ერთად კალიფორნიიდან ჩავიდა. როგორც ძაღლის პატრონმა ქალმა განაცხადა, მისი ძაღლის სახელი იშიფრება, როგორც „იმოგზაურეთ კალიფორნიაში“.

გამარჯვებულ ძაღლს მიანიჭეს „ამერიკის ძაღლის“ წოდება, რომელსაც ის მთელი წლის განმავლობაში ატარებს. ცხოველი მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა ფოტოსესიასა და ტელეშოუში. ჯილდოს სახით გამარჯვებულმა მიიღო ვერცხლის ჯამი. მას ასევე შესთავაზებენ სტეიკს ნიუ იორკის ერთ-ერთ საუკეთესო რესტორანში. შეჯიბრებაში გამარჯვებული ძაღლის პატრონისთვის რაიმე სახის ფულადი ჯილდო გათვალისწინებული არ არის.




დოგ-შოუში მეორე ადგილი რუსულ მწევარს, სახელად ლუსის ერგო. სულ კონკურსში 2,7 ათასი ძაღლი მონაწილეობდა.


## 23 თებერვლიდან

გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

გაბრიელ გარსია მარკესი

# იცხოვრო, რომ მოჰყვე




წიგნი, რომელსაც ათწლეულები ელოდნენ




## 18 თებერვლიდან

გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

მერაბ ნინიძის ავტობიოგრაფიული წიგნი

# მთავარია, მსახიობი არ გამოხვიდე

ეს წიგნი იმ ემიგრანტის ჩანაწერებია, 20 წლის წინ რომ დატოვა საქართველო და ევროპაში იპოვა თავისი ადგილიც და როლიც, იმ სუპერპოპულარული მსახიობის ამბავი, რომლის სახელსაც თბილისურ კორპუსებზეც აწერდნენ მისი თაყვანისმცემლები.

ყველაზე მთავარი აქ მაინც მერაბ ნინიძის შესაშური გულწრფელობაა, რაც ამ წიგნში შესულ ყველა ამბავსა და ეპიზოდს სანდო, საინტერესო და განუმეორებელ საკითხავად აქცევს.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**




## იუმორი

შვილი დედას ეუბნება:

– დედიკო, გახსოვს, როგორ გეშინოდა, ჩვენი დიდი ბროლის ლარნაკის ხელის ხლების, არ გამიტყდესო.

– ჰო, რა მოხდა, შვილო?

– არაფერი, შეგიძლია მაგის აღარ შეგეშინდეს.

•••

ერთი ქალი მეზობელ ქალს ეუბნება:

– შენი ქმარი მგონი ფანჯრიდან გადახტომას აპირებს.

– სულელია, ვერაფრით გავაგებინე, რომ რქები დავადგი და არა ფრთები...

•••

დირექტორმა თანამშრომლებს ახალი თანამშრომელი წარუდგინა:

– გაიცანით, ეს ჩვენი ახალი თანამშრომელი მადონაა. არ დაგავიწყდეთ აუხსნათ, რას აკეთებთ, როდესაც გგონიათ, რომ გითვალთვალებთ...

•••

ბავშვი დედას ეუბნება:

– დედიკო, მამა მოდის და პირველად რომელი ვაჩვენოთ, შენი ახალი ქურქი თუ ჩემი დღიური?

•••

ცოლი კოლო სახლში დაბრუნებულ ქმარს ეუბნება:

– შენ სულ ლოთების სისხლს როგორ უნდა სვამდე?!

•••

ერთი ლოთი მეორეს ეუბნება:

– გაიგე, ახალი არაყი გამოსულა?

– მართლა, რა ჰქვია?

– „დროის მანქანა“, დალევ და უკვე ხვალეა, რა.

•••

სასამართლოში მოსამართლე ეკითხება მოწმეს:

– ხედავდით, როგორ ახრჩობდა ბრალდებული თქვენს სიდედრს?

– დიახ, ბატონო მოსამართლევ.

– მერე, რატომ არ მიეხმარეთ?

– ვატყობდი, რომ უჩემოდაც მოახერხებდა.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– როგორი ცოლ-ქმარია იდეალური?

– ქმარი ყრუ და ცოლი ბრმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## რეპორტიორებმა ჯონი დეპი მოხუცად და მსუქნად მიიჩნიეს



მუსიკალური პრემიის გრემის სცენაზე გამოსული ჰოლივუდის მსახიობი ჯონი დეპი რეპორტიორებს მოსუქებულად და მოხუცებულად მოეჩვენათ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი გამოცემა ავრცელებს

როგორც გამოცემა ამტკიცებს, ლოს ანჯელესში გამართულ ცერემონიაზე ჩასული 52 წლის დეპი „საკმაოდ მოტეხილად“ გამოიყურებოდა, „რომლის საუკეთესო წლებმა უკვე ჩაიარა“.

გარდა ამისა, გამოცემამ ისიც აღნიშნა, რომ მსახიობი უფრო თავისი თანამგზავრების, 68 წლის მუსიკოს ელის კუპერისა და ჯგუფ აეროსმიტის მონაწილის, 65 წლის ჯო პერის თანატოლად გამოიყურებოდა. ასევე აღსანიშნავია, რომ ჯონის შარვალი აშკარად გრძელი ჰქონდა, ხოლო ჟილეტი – ვიწრო.

დეპი, კუპერი და პერი გრემის სცენაზე მუსიკალური კოლექტივის სახით წარდგნენ. მათ საკუთარი კომპოზიცია შეასრულეს, ასევე, კიდევ ერთი სიმღერა, რომელიც ლემი კილიმისტერის ხსოვნას მიუძღვნეს, რომელიც გასული წლის დეკემბერში გარდაიცვალა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


**წვერსაპარსი PHILIPS**
**50 ლარი 90-ის ნაცვლად**

- ✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
- ✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- ✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- ✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
- ✓ აკუმულატორი;
- ✓ მოჰყვება დამტენი;
- ✓ დატენვის ინდიკატორი;
- ✓ ბაკების გასასწორებელი;
- ✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- ✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;



**სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად**

1.ხმის გაძლიერება 50дБ.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც
რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც.
ელემენტები LR41 –
ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.



**შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!**
**50 ლარი 95-ის ნაცვლად**




MADE IN GERMANY

ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79.
579 885 996


## კროსვორდი

**შვეულად**: 1. მდინარე ნიუ იორკში; 2. ქიმიური ინდიკატორი; 3. თეორიული მექანიკის ნაწილი; 4. სამეფო ტახტის მემკვიდრის ტიტული საფრანგეთში; 5. ვაჭრობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 8. მაღალი მორალური ადამიანური ღირებულება; 9. არჩეული წარმომადგენელი; 12. ქართველი კინორეჟისორი ქალი; 13. ბუნებრივი ნაკრძალი აფხაზეთში; 16. მცირე ამპლიტუდის რხევები; 17. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 19. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 20. უბანი თბილისში.

**თარაზულად**: 6. უქნარა, უსაქმური ადამიანი; 7. ლომის, ვეფხვის ნაშიერი; 8. სანთლიდან ჩამონადენი წვეთი; 10. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 11. აფრიკული შხამიანი ბუზი; 14. ძველი გერმანული ტომი; 15. სულიერი დაძაბუნებით გამოწვეული ავადმყოფური მდგომარეობა; 18. საჭმელი სოკო; 21. ქართული ოდას აივანი; 22. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე; 23. უცხოური ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 24. ფრანგი მწერალი, მეიგავე.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




ლურჯი წითელი ყვითელი შავი